

ALGORYTHM FROM ROMANS

2022

N2

სარჩევი

| | |
|--|----|
| სარედაქციო წერილი | 1 |
| ალილო – შობის მახარებელთა სიმღერა | 3 |
| ერთი საშობაო საგალობლის შესახებ | 7 |
| ბატონების ნანინა – წყალობისმიერი ეპოქის კვალი ქართულ სიმღერაში | 10 |
| ჭილდოს მფლობელი ქართველი ქორეოგრაფი | 13 |
| ჩიჩილაკი ახალი წლის დღესასწაულში | 15 |
| ალილო ჩრდილოეთ იტალიაში | 18 |
| ქრისტეშობის ზოგიერთი ქართული ხალხური ტრადიცია | 27 |
| ინტერვიუ ქეროლან ბითელთან | 34 |
| ახალი წლის პირველი დღის მაგია | 44 |

სარქოდაქციო ფორილი

მოგესალმებით და ჩვენი ჟურნალის მეორე ნომრით მოგილოცავთ შობა-ახალწელს საუკეთესო სურვილებითა და უკეთესი მომავლის იმედებით!

ჟურნალის ეს ნომერი საშობაო-საახალწლო განწყობის გამოგვივიდა, რადგან დიდწილად შობა-ახალი წლის ტრადიციასა და მასთან დაკავშირებულ ატრიბუტიკას ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ეს კალენდარული დღესასწაულები ხალხური ინტერპრეტაციით თითქმის ყველგან აღინიშნება საქართველოში და არსობრივად დიდად არაფერი განასხვავებს, რიტუალის ფორმა და მისი მატერიალური რეპრეზენტაცია საკმაოდ მრავალფეროვანია. სწორედ შობის ნაირგვარი ხალხური წესისა და ატრიბუტიკის ზოგიერთ თავისებურებაზე მოგვითხრობს ნინო ღამბაშიძე თავის ნარკვევში: „ქრისტეშობის ზოგიერთი ქართული ხალხური ტრადიცია“. ავტორი ქრისტეშობის სარიტუალო პრაქტიკის მშრალი აღწერით არ შემოიფარგლება და მის ფუნქციასა და მნიშვნელობასაც განმარტავს როგორც ზოგადქართულ სიბრტყეში, აგრეთვე ზოგიერთი კუთხის სარიტუალო ტრადიციის კონტექსტში.

ქრისტეშობის ხალხური სადღეობო რიტუალი გარკვეულწილად ქრისტიანობამდელ რწმენა-წარმოდგენებთანაა შეზავებული. მიუხედავად იმისა, რომ საახალწლო რიტუალი უხვადაა დატვირთული არაქრისტიანული ატრიბუტიკით, სტატიის „ჩიჩილაკი ახალი წლის დღესასწაულში“ ავტორი, ნინო აბაკელია ამ ფაქტს ბიზანტიური არაკანონიკური კულტურის გავლენას უკავშირებს. ახალი წლის შეხვედრა და მისი სათანადო პატივით დახვედრა საკრალურ, ერთგვარი სიცოცხლის ხის ქართულ ნაირსახეობას, „ჩიჩილაკსაც“ უკავშირდება. რისი სიმბოლოა ჩიჩილაკი, რა დანიშნულება აქვს და როგორ ტრანსფორმირდა წმ. ბასილის სახეში, შეგიძლიათ უფრო ვრცლად გაეცნოთ გემოაღნიშნულ სტატიაში.

სრულიად არაორაზროვანი და ცხადია შობის საეკლესიო სარიტუალო პრაქტიკა, რომელიც კანონიკური ტიპიკონის მიხედვით სრულდება და რომელშიც ერთ-ერთი მთავარი ადგილი ქრისტეშობის საცისკრო სადღესასწაულო საგალობელს „დიდება მაღალთა შინას“ უკავია. როგორ გაუძღვა ცისკრის ვარსკვლავი მოგვებს ბეთლემის გამოქვაბულში და როგორ მოჰფინა ქვეყანას ნათელი ყრმა უფლის დაბადებამ, ეკატერინე ყაზარაშვილი მოგვითხრობს თავის სტატიაში „ერთი საშობაო საგალობლის შესახებ“.

საშობაო ხალხური სიმღერების პოპულარობა, ჩვენში „ალილოდ“ რომ მოიხსენიებენ, იმდენად დიდია, რომ მომღერალს თუ არა, ძნელად იპოვით ადამიანს, ვისაც არაფერი გაუგია მის შესახებ. თეონა რუხაძე „ალილოსა“ და მისი შესრულების ტრადიციაზე გვიამბობს თავის პატარა სტატიაში, რომელიც ნოველასავით მსუბუქად და ინტერესით იკითხება და ემოციურად აცოცხლებს ძველ საქართველოში შობის ჯადოსნური ღამის აღნიშვნის სურათებს.

ერთ ამოსუნთქვაზე იკითხება რენატო მორელის სტატიაც „ალილოს“ იტალიური სახეობის „Stella“-ს (ანაც „Tre Re“-ს) შესახებ. ავტორი გვიამბობს, როგორ აღნიშნავენ „მომღერალი ვარსკვლავები“ შობას იტალიასა და ევროპის მრავალ ქვეყანაში და როგორ მიიყვანა „სტელას“ სარიტუალო სიმღერების წყაროს ძიებამ მიჩის საუკუნეებისწინანდელ კოლექციამდე და კიდევ უფრო ადრე, გვიან შუასაუკუნეებამდე.

ახალი წლის თემატიკის გაგრძელებაა „ფოტოისტორიის“ რუბრიკის დღევანდელი საარქივო ფოტოც, რომელიც სვანეთში ახალი წლის – „მომხას“ – დადგომის რიტუალს ასახავს. რიტუალისა და საკუთრივ ფოტოს – რომელიც 1929 წელს ეთნოლოგ დინა კოჟენიკოვას გადაუღია – შესახებ მასალა მოამზადა მანანა ხიზანიშვილმა.

სულ ახლახან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა „ინფექციურ დაავადება

„ბატონებთან“ დაკავშირებულ რიტუალურ ქმედებებს, სიმღერასა და წეს-ჩვეულებებს საქართველოში“. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში და დადებითად ერთად, ბევრი უარყოფითი გამოხმაურებაც მოჰყვა. ჩვენ არ ვერთვებით ამ დისკუსიაში, მაგრამ სიამოვნებით გაგაცნობთ „ბატონების“ ფენომენის ალტერნატიულ გააზრებას, რომელსაც ვიზიონერი გია რაზმაძე გვთავაზობს.

ვფიქრობთ, ქართველი მკითხველისთვის საინტერესო იქნება ინტერვიუ ბრიტანელ ეთნომუსიკოლოგთან, ქეროლაინ ბითელთან, საიდანაც ის ბევრ რამეს შეიტყობს კორსიკული მუსიკის შესახებ. გარდა ამისა, ქეროლაინი გვიზიარებს საკუთარ დაკვირვებებს ქართული ტრადიციული მუსიკის თანამედროვე ტენდენციების შესახებ, რომელიც მეცნიერის კვლევის საგანს წარმოადგენს და რომლის მასალებიც მალე წიგნად გამოიცემა.

და ბოლოს, ჩვენი ჟურნალის ახალგაზრდა ავტორი-დებიუტანტი, თეონა ბენაშვილი მკითხველს უამბობს როგორ მოხვდა ქართული ტრადიციული ცეკვების ილეთები ამერიკულ მძაფრსიუჟეტთან ფილმში (ბოვეიკში), რომელმაც ტაურუსის კასკადიორთა საერთაშორისო ჯილდო მოიპოვა საუკეთესო ბრძოლის კატეგორიაში.

იმედი გვაქვს, ჟურნალის ეს ნომერი უფრო ფართო აუდიტორიის ყურადღებას მიიპყრობს და მომდევნო ნომრისადმი ინტერესს გაუღვივებს, რომლის გამოცემასაც წლის პირველ ნახევარში ვგეგმავთ.

მანამდე საუკეთესო სურვილებით დაგემშვიდობებით და შეგახსენებთ, რომ ჩვენი კარი ღიაა თანამშრომლობისთვის.

ღიმი გაეღობა,
მოგავალ შეხვედრამდე.

| | |
|---|--|
|  <p>ნანა მშვენაძე სარედაქციო საბჭოს წევრი</p> |  <p>თამარ ტუშაშვილი სარედაქციო საბჭოს წევრი</p> |
| <p>სანდრო ნათაძე პრემიუმის სარედაქციო საბჭოს წევრი</p>  | <p>ბრბინა შერვაშიანი სარედაქციო საბჭოს წევრი, ინვოლუციური ტექსტის რედაქტორი</p>  |

ალილო – შობის მახარებელთა სიმღერა



ზამთრის საღამო, თოვლით დაფარული სოფლის ბილიკები, სარკმლებიდან მოციმციმე ცეცხლის ალი, ჰაერში დატრიალებული კვამლის სურნელი, ბუხრის პირას ტკბილფეულის მოლოდინში მოკალათებული ბავშვები და სამზადისში მყოფი დიასახლისები... შებინდებულზე, ორღობეში მიმავალთა სიმღერა კარმიდამოების სიჩუმეს არღვევს და ადამიანების გულებს, იმედითა და სიხარულით ავსებს. ასეთი წარმომიდგენია შობის საღამო ძველ, შორეულ საქართველოში.

საშობაო სიმღერები მთელ საქრისტიანოშია გაგრცელებული. ჩვენში მათ ალილოებს უწოდებენ. ალილო შობის ღამეს კარდაკარ ჩამოვლის რიტუალის აუცილებელი ნაწილია. ამ რიტუალის მონაწილეები – მეალილოეები შობის მახარებლებს განასახიერებენ. მათი გამოჩენა მასპინძლებისათვის დიდი პატივია, ამიტომაც სიხარულით ეგებებიან და ასახუქრებენ.

საქართველოს მთასა თუ ბარში, აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში ნაირგვარ ალილოებს მღეროდნენ. ერთ სოფელსაც კი შეიძლებოდა საკუთარი ვარიანტი ჰქონოდა. ამაზე მეტყველებს დღემდე შემორჩენილი სახელწოდებები: ართანული, შილდური, კონდოლური, კვაცხუთური, ცახური, აკეთური, მაკვანეთური და სხვა. ალილოებით აღმოსავლეთ საქართველოდან განსაკუთრებით გამოირჩევა კახეთი, დასავლეთიდან – რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, იმერეთი, სამეგრელო და გურია.



შობის მახარებლები სიმღერის დასაწყისში, როგორც წესი, შობის შესახებ იუწყებიან: **ოცდახუთსა ამ თვესაო, ქრისტე იშვა ბეთლემსაო**. ისინი ხაზს საკუთარ სტატუსსაც უსვამენ – **ჩვენ მათხოვრები არა ვართ, ქრისტეს მახარებლები ვართო** – აღნიშნავენ. მეალილოეები, შობის მილოცვასთან ერთად, მასპინძლებს მატერიალურ კეთილდღეობას – პურ-ღვინის სიუხვესა და საქონლის სიმრავლეს უსურვებენ: **ღმერთმა ისე აგაშენოს, როგორც შიოს მარანიო, პური-ღვინო ბევრი მოგცეს, საწველოელი მრავალიო**. ლოცავენ წინაპრებსაც: **ეს სახლი ვინ ააშენა, ვინ დახურა მუხის გული, ამშენებლის დედა ცხონდეს, დამხურავის მამის სულიო**.

ქართული საშობაო სიმღერები ყველა კუთხეში თავისებურია. მაგალითად, კახურ ალილოებში გაბმულ ბანზე ერთმანეთს ორი მაღალი ხმა ენაცვლება, ისინი სიმღერას სახასიათო მელიზმებით – ჩახვევებით ასრულებენ. გურულ, იმერულ და მეგრულ ვარიანტებში სადღესასწაულო განწყობასთან ერთად, მსემენლი შეამჩნევს ხმების მეტ სისხარტესა და სიმსუბუქეს. შედარებით დინჯი და ომახიანია რაჭული, ლეჩხუმური და სვანური ალილოები.

არავინ იცის, ვინ იყო ამა თუ იმ ალილოს პირველი მთქმელი, ან როდის გაჩნდა ეს სიმღერები, მაგრამ მათი მუსიკალური ენა და შესრულების რიტუალური კონტექსტი მათ სიძველეზე მეტყველებს. მეცნიერები ალილოების სახელწოდებას ებრაულიდან ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში გადმოსულ, ღმერთის სადიდებელ – ალილოუიას უკავშირებენ. ალილო ქრისტეს დაბადებით გამოწვეული სიხარულის სიმღერაა და მის ხალხურ რიტუალში, ზამთრის მზებუდობისას აღსანიშნავი მზის დაბადების, სიბნელეზე სინათლის გამარჯვების წინარექრისტიანული დღესასწაულის ექოც მოისმის.

ალილოზე სიარულისა და შობის სიმღერით მილოცვის შესახებ საინტერესო ცნობები გვხვდება წინა საუკუნეების ჟურნალ-გაზეთებში. 1861 წელს, ჟურნალ **ცისკარში**, ქართული ტრადიციული მუსიკის შესახებ გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში მწერალი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი ძველ ამბავს იგონებს, რომელიც როგორც თავად აღნიშნავს ოცდაათი წლის წინ მომხდარა. შობის საღამოს, ორბელიანების ფანჯრების ქვეშ, უცნობ მომღერლებს ხმაშეწყობილი ალილო წამოუწყიათ, მეალილოეები იმერლები აღმოჩნდნენ. სიმღერით მოხიბლულმა მასპინძლებმა ისინი სახლში შეიპატიჟეს და სხვა იმერული სიმღერებიც სიამოვნებით მოისმინეს (1).



ალილოზე დადიოდნენ საქველმოქმედო მიზნებითაც. მაგალითად, 1897 წლის 24 დეკემბრის გაზეთი ცნობის ფურცელი იუწყება საგანგებოდ ალილოსთვის შემდგარი გუნდის შესახებ. საინტერესოა, რომ გუნდის წევრების უმეტესობა გოგონები არიან, მათი მიზანი კი ქალაქში ქალთა სკოლის დაარსებისათვის ფულის შეგროვება ყოფილა (2).

ალილოს რიგ შემთხვევებში არასასურველი გავლენებიც დასტვობია. 1902 წელს, გაზეთი **ივერია** გვამცნობს, რომ ძველთაგანვე გავრცელებული ხმაშეწყობილი გალობა, **მოგიერთ მეტიჩრებს გარდაუქმნიათ და სრულიად სხვა, გაუგებარ კილოსა და ენაზე გაუცვლიათ**. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ შობის წინა დღეებში ალილოს ნაცვლად ყმაწვილები გალობენ შობის ტროპარს რუსულ ენაზე სლავიანურად, ათასნაირად დამახინჯებულს, როგორც შინაარსით, ისე კილოთი (3). ეს და მსგავსი შემთხვევები, XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის, ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების, განათლების კერებში რუსულ ენაზე სწავლების, ქართული ენისა და კულტურის შევიწროვების ლოგიკური შედეგი იყო. თუმცა როგორც აღმოჩნდა, ალილოს წინ კიდევ უფრო დიდი განსაცდელი ელოდა. ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ შობა აკრძალულ დღესასწაულად იქცა.

მთავრობა ჟურნალ-გაზეთებით, ბროშურებით, მოხსენებებით, ლექციებითა თუ თეატრალური წარმოდგენებით ცდილობდა რელიგიური დღესასწაულების ჩახშობას. შობის წინააღმდეგ ანტირელიგიურ

მოძრაობა **მებრძოლ უღმერთოთა კავშირს** სპეციალური სამოქმედო გეგმაც დაუსახავს. საქართველოს ეროვნული არქივში დაცული დოკუმენტის მიხედვით, ანტისაშობაო კამპანიას 1936 წლის 15 დეკემბრიდან 1937 წლის 20 იანვრამდე მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად უნდა ემუშავა. ამავე დოკუმენტში წარმოდგენილია შობის საწინააღმდეგოდ ჩასატარებელი აქტივობების ვრცელი ნუსხა (4).

საბჭოთა ეპოქაში ალილოზე ჩამოვლის რიტუალი ყოფიდან თანდათან გაქრა, მაგრამ თავად სიმღერა ხალხის მეხსიერებამ აკრძალვების მიუხედავად, მაინც შეინარჩუნა. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, სხვადასხვა კუთხეში ჩატარებული ეთნომუსიკოლოგიური ექსპედიციების ჩანაწერებში საშობაო სიმღერებსაც შეხვდებით.

1980-იანი წლებიდან, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, იდენტობის ხელახალი ძიების პროცესის კვალდაკვალ, გაჩნდა ალილოს რიტუალის ყოფაში დაბრუნების ინიციატივა, რომელიც ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგ ედიშერ გარაყანიძესა და ანსამბლ **მთიებს** ეკუთვნოდა. წამოწყებას მიმდევრებიც გამოუჩნდნენ. ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებელი ანსამბლები ცდილობენ სხვადასხვა სოფელსა თუ ქალაქში ალილოზე დღესაც იარონ. შობის საღამოს შეიძლება გაიგონოთ ალილოზე მოსიარულე ბავშვების არც თუ ისე ხმაშენწყობილი სიმღერაც, მათთვის ეს ტრადიცია ერთგვარ სახალისო თამაშობად ქცეულა. ამგვარი ალილოობის მონაწილე გასული საუკუნის 90-იანებში თავადაც ვყოფილვარ. შემიძლია ვთქვა, რომ შობის მაგიით გამონვეულ სიხარულსა და აღტაცებას – მაშინდელი გაჭირვების, ომის, სიცივისა და უიმედობის ხანაც ვერაფერს აკლებდა.




„ალილოზე“ ილუსტრაცია საყვანძლო ჟიჟანოძის ნაალები, 1911

სულმოუთქმელად თქვეს, მასპინძლებისგან მიღებული სანოვავე ხურჭინში ჩაალაგეს და სხვა ეზოებისკენ გასწიეს. შემდეგ მოვიდნენ სხვებიც, ცოტა მოზრდილები, მათაც იმღერეს თითქოს უფრო ღიხჯად, მაგრამ პაპა, რომელიც ძველი ყაიდის კაცი იყო, სულ სხვა მეალილოებს ელოდა. მოლოდინი გვიან ღამით გამართლდა, ალაცაფთან გაისმა შეძახილი: **აგაშენო!** ეს იყო ათიოდე მამაკაცისაგან შემდგარი გუნდი, სოფლის მღვდლის თაოსნობით. მათ მიერ შესრულებული კახური **ალილო** და **მამთარი** მწერლისთვის სამუდამო მოგონებად დარჩა (5).

ართანელი ლოტბარი და მომღერალი ანდრო სიმაშვილი კი იგონებდა, 1920-იანი წლების ბოლოს, ჯერ კიდევ ბავშვი როგორ გააღვიძა შობის ღამეს გამოჩენილი მეალილოეების შეძახილმა **აგაშენო!** და როგორ მონუსხა მათ მიერ შესრულებული ართანული ალილოს შთამბეჭდავმა ჟღერადობამ. შემდეგ კი... **დადგა დრო, როდესაც ალილოს, საკონცერტო პროგრამაში ვერ შევიტანდით, სარიტუალო იყო და იმიტომ. მაშინ ვმღეროდით სამამულო ომის გმირებზე, კოლექტივიზაციაზე, შრომაზე. ბევრი ტრადიციული სიმღერა დაგინწყებას მიეცა** (6). 1960-იან წლებში სიმაშვილების ოჯახში შეკრებილ სტუმრებს ძველი ამბების

ასეა, ალილოობა, კარდავარ სიარულით, მილოცვითა და საჩუქრებით, ადამიანებს დადებითი ემოციებით ავსებს იმ შემთხვევაშიც კი, როცა მას გამორჩეულად შესრულებული ალილო არ ახლავს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კარგი სიმღერა რიტუალს განსაკუთრებულ ელფერს სძენს. ადრე, როგორც ჩანს, **ქორწილში მეფე-პატარძლის მხლებელი მომღერალი მაყრის მსგავსად, მომღერალი მეალილოეც** განსაკუთრებულად ფასობდა. ერთ ძალიან ლამაზ საშობაო მოთხრობაში **მამთარი**, რეზო ინანიშვილი თავის ბავშვობის, ჯერ კიდევ შემორჩენილ, ალილოობას აღწერს და გვიამბობს, თუ როგორ გამოჩნდნენ კახეთის სოფელ ხაშში, მოსალამოვებულზე, პირველი მეალილოეები – პატარა ბიჭები, დიდი კლმბლებით. მათ სიმღერა

გახსენებისას უკვე მივიწყებული ალილოც მოუგონებიათ, მოსმენილი სიმღერა კი ლოტბარს აღუდგენია და 1979 წელს ერთ-ერთ კონცერტზე კიდევ შეუსრულებია. ართანული ალილოს ეს ისტორია საბჭოთა საქართველოში ალილოების თავს გადახდენილი ამბის ერთგვარი ილუსტრაციაა.



ალილოს პირველი სანოტო ჩანაწერი 1886 წელს დაიბეჭდა, სიმღერა ჩეხ ლოტბარს იოსებ რატილს გადაუტანია ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე. 1907 წელს კი გაჩნდა პირველი ხმოვანი ჩანაწერიც, ინგლისურ ხმის ჩამწერ ფირმა **გრამაფონს** გიგო ერქომაიშვილის გუნდისაგან სხვა სიმღერებთან ერთად გურული ალილოც ჩაუწერია.

სხვადასხვა კუთხის ალილოებს საქართველოში ათწლეულების შემდეგ ისევ ისმენენ, სწავლობენ და სიხარულითაც ასრულებენ. როგორც ჩანს, ამ სიმღერებს ადამიანების მესხიერებიდან წაშლა და დავიწყება არ ეწერა.

ღამონათქაანი:

- 1. ჯამბაკურ-ორბელიანი ალექსანდრე, „ივერიანელთა გალობა, სიმღერა და ღიღინი“. ცისკარი, 1861, #1
- 2. „ალილოსთვის შემდგარი ხორო“. ცნობის ფურცელი, 1897, #410, გვ.2
- 3. ვაშაძე, ბ. „ეხლანდელი ალილო და ჭონა“. ივერია, 1902, #81. გვ. 3
- 4. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი #1547, საქმე #52
- 5. რევამ ინანიშვილი, ზამთარი <https://scroll.ge/14514/revaz-inanishvili-zamthar/>
- 6. ვვიჟინაძე, მარინა (2015). ანდრო სიმამილი. თბილისი: უსტარი

ფოტო გარეკანზე: **ელენა ახვლედიანი** „ზამთარი სიღნაღში“



ამოიჩინა: თაონა ხუხაკი - ბიოგრაფიული მეთოდის სახელმძღვანელო საკლასიკო გარემოს უმაღლესი სასწავლებლის ასოციირებული პროფესორი

ერთი საშობაო საგალობლის შესახებ



ქრისტეშობა თორმეტ საუფლო დღესასწაულთაგან ერთ-ერთი ძირითადი და მისტიკური დღესასწაულია. ქრისტიანულ ეკლესიაში მაცხოვრის შობის აღნიშვნის ორი თარიღია დაკანონებული, ძველი სტილით – 25 დეკემბერი, ახალი სტილით – 7 იანვარი. საქართველოში შობას 7 იანვარს აღვნიშნავთ.

ახალი აღთქმის მახარებლებამდე მესიის მოვლინების შესახებ ძველი აღთქმის არაერთი წინასწარმეტყველი გვაუწყებდა, მათ შორის ესაია, დანიელი და იერემია. ქრისტეს შობის შესახებ მოთხრობილია ორი მახარებლის – მათეს და ლუკას სახარების პირველ თავებში. სახარებიდანვე ცნობილია, რომ პირველი სადიდებელი გალობა, რომელიც ანგელოზებმა ბეთლემში უფლის ხორციელად შობას მიუძღვნეს, იყო „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა“:

„და მეყსეულად იყო ანგელოზისა მის თანა სიმრავლე ერთა ცისათად, აქებდეს ღმერთსა და იტყოდეს: დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშვიდობაჲ, და კაცთა შორის სათნოებაჲ“ (1).

გამორჩეული საუფლო დღესასწაულის – ქრისტეშობის საცისკრო სადღესასწაულო მსახურება საგალობლით, ე. წ. მცირე „დიდება მაღალთა შინათი“ იწყება. სწორედ ამ საგალობლის ისტორიაზე მსურს მოგიხროთ. ის თავდაპირველად მაცხოვრის შობას უკავშირდებოდა, მოგვიანებით კი ცისკრისა და წირვის მსახურების პირველი ლოცვა გახდა. ცისკრის მსახურებაში ამ საგალობლის მეშვეობით შემოდის ახალი აღთქმის თემატიკა და მორწმუნე ადამიანისთვის იხსნება ღმერთთან მისასვლელი კარი.

ქრისტიანული ღვთისმსახურება სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: მწუხრი, ცისკარი და წირვა. ცისკრისა და წირვის მსახურება შეგვახსენებს ახალი აღთქმის პერიოდს: იესო ქრისტეს ამქვეყნად მოვლინებას ადამიანთა ხსნისათვის და მის ბრწყინვალე აღდგომას. ცისკარი ძველად გამთენიისას სრულდებოდა, რაზეც მისი დასახელებაც მეტყველებს. შობის ვარსკვლავი იყო ერთ-ერთი ის ნიშანი, რომლის მეშვეობითაც მოგვებმა ბეთლემის გამოქვაბულში მიაგნეს მაცხოვრის შობის ზუსტ ადგილს. ქრისტეს მოვლინების შესახებ წარმართმა მოგვებმა ჰეროდეს მნიგნობრებისგან შეიტყვეს, ხოლო დაბადების სავარაუდო ადგილის შესახებ იცოდნენ:

„ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე მეფისა მისგან, წარვიდეს. და აჰა ვარსკულავი იგი, რომელი იხილეს აღმოსავალით, წინა-უძლოდა მათ, ვიდრემდე მოვიდა და დაადგრა ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმაჲ იგი. ხოლო მათ ვითარცა იხილეს ვარსკულავი იგი, განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად“ (2).

ცისკრის ვარსკვლავის გამოჩენისა და ცისკრის მსახურების აღვლენის დრო სიმბოლურად ერთმანეთს უკავშირდება.

რაც შეეხება წირვის მსახურებას, აქ „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა“ ჩართულია არა საგალობლის, არამედ ლოცვის სახით. არსებობს დიდი და მცირე „დიდება“. მცირე „დიდების“ სრული ტექსტი ასეთია: **„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა“** (საგალობლის I ნაწილი). **„უფალო, ბაგენი ჩემნი აღახვენ და პირი ჩემი უთხრობდეს ქებულებასა შენსა.“** (II ნაწილი). საგალობლის შესრულებისას I ნაწილში არსებული ტექსტი მეორდება სამჯერ, ხოლო მეორე ნაწილის ტექსტი – ორჯერ. ცისკრის მცირე „დიდება“ ხმაზე ან ჟანრზე მითითებას არ შეიცავს. ქართული გალობის ხელნაწერ წყაროებში „მცირე დიდების“ სულ ორი სანოტო ვერსია გვხვდება, ერთი აღმოსავლეთის სკოლისა (აუდიო 1) და მეორე დასავლეთის, კერძოდ გელათის სამგალობლო სკოლის ნიმუში (აუდიო 2).



საინტერესოა, რომ აღნიშნული საგალობლის ტექსტს, ქრისტეშობის სადღესასწაულო მსახურებისას, სხვა საგალობელთა ტექსტებში არაერთგზის გვხვდებით. მათ შორის, ყველაზე ხშირად შობის სადღესასწაულო დასდებლებში (დასდებელი – საგალობლის სახეობა, რომელიც მრავალსტროფიანი, მრავალმუხლიანი სტრუქტურის მქონე სამგალობლო კომპოზიციის, დასდებელის შემადგენელ ერთეულს წარმოადგენს). როგორც ჩანს, ეს ტექსტი ლაიტმოტივად გასდევს ქრისტეშობის სადღესასწაულო მსახურებას.

ცისკრის მსახურების დასასრულს არსებული „დიდება მაღალიანი“ ბევრად უფრო მასშტაბური საგალობელია. ცისკრის მსახურების ბოლოს მღვდელმსახური წარმოსთქვამს შემდეგ სიტყვებს: **„დიდება შენდა, რომელმან მოგვფინე ნათელი“**. მღვდლის ამ სიტყვებს გადაყვარათ ქრისტიანობის უძველეს ხანაში, რაც ერთხელ კიდევ გვახსენებს იმ პერიოდს, როცა ძველად ღამისთევის ლოცვა გრძელდებოდა მზის ამოსვლამდე და მღვდელი კი კიდევ ერთი ახალი დღის გათენებისათვის მორწმუნე მრევლის სახელით მადლობას სწირავდა გამჩენ ღმერთს.

„ხილული ნათლის ქვეშ მორწმუნენი გულისხმობენ სარწმუნოებრივ-ღვთაებრივ ნათელსაც, რომელსაც ეზიარნენ იესო ქრისტეს წყალობით. გუნდი გალობს „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა...“, რომელსაც დაასრულებს საგალობლით „წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდაო შეგვიწყალებ ჩვენ“ (3).

ამ საგალობლით მორწმუნე ერი, ანგელოსთა დასი, ზეციური თუ ქვეყნიური ეკლესიები აღიძვრენ შემოქმედს. მცირე დიდებით იწყება და დიდი „დიდება მაღალიანით“ სრულდება ცისკრის მსახურება. ეს საგალობლები ერთგვარ თაღს კრავენ და ხაზს უსვამენ ქრისტეს მოვლინების მნიშვნელობას კაცობრიობისთვის.

დასასრულ, გადავინაცვლოთ ყოველი სადღესასწაულო მსახურების, ლხინისა და ჭირის შეუცვლელ ნაწილზე, რომელსაც ქართული სუფრა ან ტრაპეზი ეწოდება.



როგორც წინაპართა გადმოცემიდან ვიცით, ქართული სუფრა საღმრთო ლიტურგიის ერთგვარი გამოძახილი იყო, რაც ყველაზე მეტად ვლინდებოდა სადღეგრძელოებისა და მისი თანმხლები სალხინო საგალობლების (რაც დღეს, ფაქტობრივად, დაკარგულია) წარმოთქმის ნაწილში, ასეთი სალხინო საგალობლის მაგალითია „დიდება ღმერთსა“ (აუდიო 3). ქართულ სუფრაზე სადღეგრძელოს თქმის ჩამოყალიბებულ იერარქიას ვხვდებით: პირველ სადღეგრძელოდ ღვთის სადიდებელს ამბობენ, მეორეს – მშვიდობისას (მაგალითად, გურიაში პირველად მშვიდობის სადღეგრძელოს წარმოთქვამენ) და მხოლოდ ამის შემდეგ ამბობენ ოჯახის, ნათესავების, წინაპრების, მიცვალებულთა და სხვა სადღეგრძელოებს. როგორც ჩანს, ეს იერარქია ზედმიწევნით მიჰყვება განხილულ საგალობელში განვითარებულ ხაზს – **„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება. უფალო, ბაგენი ჩემნი აღახვენ და პირი ჩემი უთხრობდეს ქებულებასა შენსა“**.

ღმერთმა მრავალი მშვიდობიანი ქრისტეშობა გაგვითენოს!

ღაბონებაანი:

- 1.ახალი აღთქემაჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი. ლუკა, 2:13-14. თბილისი: საქართველოს საპატრიარქო, გამომცემლობა ალილო
- 2.იქვე, მათე, 2:9-10.
- 3.ეკლესიის საუნჯე. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები. შემდგენელი: დავით შონგაძე. 2013. თბილისი. გვ. 456

ფოტო გარეკანზე: **ათანის სიონი. შობა. XI საუკუნე**



ავტორი: ეკატერინე ყაზარაშვილი - საეკლესიო მუსიკოლოგი.
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია,
საეკლესიო მუსიკის მეთაურის სპეციალისტი

ბატონების ნაწიწა

წყალობისპირი ეპოქის კვადი ქართულ სიმღერაში

ხანდახან, სიმღერაზე არანაკლებ საინტერესო ის გარემო და ვითარებაა, რომელშიაც იგი ითქმოდა. ამ თვალსაზრისით, ქართულ ხალხურ ტრადიციაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია სიმღერას, რომელსაც, ძირითადად, „ბატონების“ სახელით მოიხსენიებენ და იცნობენ. სწორედ „ბატონების“ შესახებ მინდა ამ წერილში გიამბოთ. რა არის „ბატონები“ და რა ვიცით ამ უხილავი არსებების შესახებ, რომელთა საამებლადაც უამრავი ლამაზი სიმღერა შეიქმნა?

ჩვენი წარმოდგენით, ძირითადად, ბატონები ბოროტი სულები არიან და ისეთ დაავადებებს იწვევენ, როგორებიცაა: წითელა ბატონები, ყვავილ-ბატონები, ყვიანახველა და სხვ. მეტიც, ზოგიერთი გადმოცემის მიხედვით, შავი ჭირის წყაროც ბატონებია. ხალხურ წარმოდგენაში ეს ბოროტი სულები ჩაიბუდებენ ადამიანის (ხშირად ბავშვის) სხეულში და აავადებენ მას. მათ საკუთარი წესები აქვთ, რომელთაც კარნახობენ ადამიანებს. ავადმყოფის ოჯახის წევრების მიერ ამ წესების უგულვებლყოფა განარისხებს ბატონებს და მათ თან „მიჰყავთ“ ავადმყოფი, ანუ კლავენ. ბატონების „ნანაც“ ამ წესების შემადგენელი ნაწილია და ამ სიმღერას სწორედ ბატონების საამებლად მღერიან.

უცნაურია, რომ ამ „ბოროტი“, „მკვლელი“ სულების საამებლად ასეთი ლამაზი და მშვიდი სიმღერები იმღერება. ისიც უცნაურია, რომ ბატონები არ ითხოვენ მსხვერპლის შეწირვას ავადმყოფის გადარჩენის სანაცვლოდ. ბუნებრივი იქნებოდა, რომ ბოროტ სულს ავადმყოფის სანაცვლოდ კურატი, ცხვრის, ციკნის ანდა სულაც ქათმის დაკვლა მოეთხოვათ, როგორც ეს ხალხური რიტუალების უმეტესობას ახასიათებს. ბატონებს ერთადერთი მოთხოვნა აქვთ: იმ სახლში, სადაც ისინი დაბრძანდებიან, არ უნდა იყოს ჩხუბი და ყვირილი, არავინ უნდა დათვრეს, არ შეიძლება ცხოველის (ფრინველის) დაკვლა... სახლი ლამაზად უნდა მოირთოს და შეიმკოს. ავადმყოფის ოთახი იებითა და ვარდებით (ბატონების საყვარელი ყვავილები) უნდა იყოს მოფენილი და სტუმარი იქნება თუ მასპინძელი, ავადმყოფისთვის სასიამოვნო გარემოს შექმნაზე და მის კარგ განწყობაზე უნდა ზრუნავდეს. სწორედ ამ მიზნით ითქმოდა/იმღერებოდა ბატონების ნაწიწა.

არც ბატონების ტექსტებშია რაიმე ისეთი, რაც მათ ბოროტებაზე მიგვანიშნებდა. პირიქით, „ჩიტაც არ აგვიფრენია“ – ესაა ლექსის განწყობა და ძირითადი მოტივი. ამ ტექსტების მიხედვით ბატონები, შვიდნი და-ძმანი ავადმყოფობის განმკურნებლები ჩანან და არა მისი გამომწვევები. მეტიც, „ბატონების“ ტექსტების უმრავლესობა იწყება მიმართვით – „ბატონებო მწყალობლებო“ და სწორედ ეს სიტყვა – „წყალობა“ – ახასიათებს ყველაზე კარგად ბატონებს.



ილუსტრაცია ნინოიან „ახიარულ-ბრაზიანი ბატონები“, ახალციხის - ქუთუაისი რაიონი

რაკი „წყალობა“ ვახსენეთ, სანამ ბატონების შესახებ საუბარს გავაგრძელებთ, აუცილებელია განვიხილოთ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნების – წყალობა და მსხვერპლი – მნიშვნელობა და შინაარსი. უკვე კარგა ხანია ცდილობენ ზღვარისა და დაპირისპირების გაქრობას ამ სიტყვებს შორის. არადა, ბიბლიაშიც კი, რომლისთვისაც მსხვერპლი მთავარი საკითხია, გარკვევით წერია: „არა მნებავს მსხვერპლი, არამედ მხოლოდ წყალობა“. ალექსანდრე ქვეციანაც, სადაც თაფლის ნაკადულები და რძის მდინარეები მოედინებიან, სინამდვილეში წყალობის სამყაროა (რძე და თაფლი წყალობის სიმბოლოებია. ცრემლი და სისხლი – მსხვერპლის). სამწუხაროა, რომ ჩვენმა ცივილიზაციამ მოახერხა და წყალობა სისულელედ გამოაცხადა, ხოლო მსხვერპლი – აუცილებლობად და ლამის სათნოებადაც კი.

რა არის წყალობა? წყალობა ისეთი ურთიერთობაა, რომლის დროსაც, ურთიერთობაში მონაწილე ყველა სუბიექტი ბედნიერია. ამის საუკეთესო მაგალითი დედისა და ჩვილის ურთიერთობაა: დედა კვებავს შვილს თავისი რძით და ამ დროს ჩვილი ბედნიერია. ის კი არაა, შესაძლოა, დედა უფრო ბედნიერიც კი იყოს. აქ უმთავრესი ისაა, რომ წყალობისმიერი ურთიერთობისას მიმღებიც ბედნიერია და გამცემიც.

სრულიად განსხვავებულია „მსხვერპლისმიერი“ ურთიერთობა. ასეთ დროს ძლიერი იღებს ყველაფერს, რაც სურს. შეუძლია წაართვას, მოპაროს, შეაშინოს, მოკლას, გააუპატიუროს და სრულიადაც არ ანადვლებს როგორ იტანება ამ დროს გამცემი. გასაგებია, რომ სახელმწიფო, რომლის არსებობისათვის ძალადობა აუცილებელია, წყალობას ვერ დაეფუძნება. შესაბამისად, სახელმწიფო რელიგიები თუ იდეოლოგიები აუცილებლად მსხვერპლისმიერი იქნება. დღეს ჩვენ სწორედ მსხვერპლის სამყაროში ვცხოვრობთ. წყალობის სამყარო კი მხოლოდ ზღაპრებში, რიტუალებსა და ლიტერატურულ ქმნილებებში არსებობს.

წყალობის სწორედ ამგვარი მნიშვნელობა და შინაარსი შემოინახა „ბატონების“ რიტუალმაც. მონმეც ყოფილვარ და თავადაც განმიცდია ამგვარი წყალობის ძალა. ბავშვობაში ყველა ზაფხულს სოფელში, ბებიასთან ვატარებდი. ჩემთან ერთად იქ ჩემი ძმა და დეიდაშვილებიც იყვნენ ხოლმე. ერთხელ ერთი ჩემი დეიდაშვილი ავად ახდა. წითულა ბატონები შეეყარა. როგორც კი ბებია დარწმუნდა, რომ სახლში ბატონები „დაბრძანდნენ“, ყველა ბავშვი შეგვკრიბა და ახალი წესები გამოგვიცხადა: არ შეძლებოდა ჩხუბი და ყვირილი, არ უნდა მოგვეთხოვა ქათმის ხორცი, რადგან ქათმის დაკვლაც არ შეიძლებოდა. ბავშვები ვიყავით და არ ვსვამდით, მაგრამ მაინც გვითხრა, რომ დათრობაც არ შეიძლებოდა. უნდა მოგვენდომებინა და ავადმყოფი გავემხიარულებინა...

წესებს დავემორჩილეთ და მათ აღსრულებას შევუდექით. ავადმყოფის ოთახი წითელი ნაჭრებით მოირთო; ყოველ დილას შეგვექონდა ლამაზი და სურნელოვანი წითელი ვარდები და იის ფოთლები (რადგან იების ყვავილობა უკვე დამთავრებული იყო). მიზნად დავისახეთ, რომ ბატონებისთვის გვეამებინა.... საოცარი დრო დადგა: ბატონების გამო სახლი „წყალობის სამყაროდ“ გადაიქცა. ყველანი ბედნიერები ვიყავით. როცა ავადმყოფი გამოჯანმრთელდა, ძალიან გაგვიხარდა, მაგრამ თან გული გვწყდებოდა, რომ ბატონების წესების დაცვა აღარ გვევალებოდა. მახსოვს, ისიც კი ვთხოვე ბებიას, რომ ეს წესები, ავადმყოფის გამოჯანმრთელების მიუხედავად, მაინც დავგვეტოვებინა სახლში...

ახლა რომ ვიხსენებ, საოცრებად მეჩვენება, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო წყალობის სამყაროში ცხოვრების გამოცდილება მიეღო ადამიანს. ამ წესებს მაშინ ბევრ ოჯახში იცავდნენ (შესაძლოა, სადღაც დღესაც ასრულებდნენ).

ბატონების რიტუალის, მისი თანამდევნი წესებისა და ტექსტების ამგვარი გააზრების შემდეგ, ბუნებრივად იბადება კითხვა: და მაინც ვინ არიან ბატონები? და ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, გარკვეული ახსნა და პასუხიც ეძებნება ამ კითხვას.



ვფიქრობ, ოდესღაც საქართველოში ცხოვრობდნენ „კანონგარეშე“ ადამიანები, რომლები თემებად ცხოვრობდნენ მიუვალ ადგილებში. მიუვალ ადგილებში იმისათვის, რომ მიუწვდომელი ყოფილიყვნენ ამა ქვეყნის ძლიერთათვის. მათი თემები წყალობის პრინციპებს ემყარებოდა. ისინი ავადმყოფობებისაგან განკურნების ცოდნასაც ფლობდნენ, კარგადაც მღეროდნენ და სხვა უნარებითაც იყვნენ დაჯილდოებულნი. თუ ვინმე ავად გახდებოდა, „ბატონების მსახურს“ (რომელიც ყველა სოფელში ცხოვრობდა) მიმართავდნენ დასახმარებლად.

ილუსტრაცია ნიხილან „მხიარულ-ბრაზიანი ბატონები“, მხატვარი - ვუთვან კიძიბური

„ბატონების მსახური“ ბატონებისაგან ნდობით აღჭურვილი პირი იყო და მას ბატონებსა და ავადმყოფის ოჯახს შორის შუამავლობა ევალებოდა. ის უხსნიდა ოჯახს, როგორ მოქცეულიყვნენ და რომელი წესები უნდა დაეცვათ, რომ ბატონებს მათ სახლში სტუმრობა შესძლებოდათ და მათ სათანადოდ დახვედროდნენ. თუ ოჯახი შესაფერისი იყო, ისინი თავად მიდიოდნენ ბატონებთან და სთხოვდნენ ავადმყოფის მონახულებას. ბატონები ავადმყოფის განკურნებამდე მის სახლში რჩებოდნენ, სადაც მყარდებოდა წყალობის კანონები, რადგან უამისოდ მათ იქ ყოფნა არ შეეძლოთ. ისინი მკურნალობდნენ ავადმყოფს, უმღეროდნენ, ყველა მსურველს ასწავლიდნენ სიმღერასა და სხვა კეთილ საქმეებს. მათი სოფელში ყოფნა ყველასთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამ დროს სოფელელები ბედნიერების გამოცდილებას იღებდნენ და ბატონების წაბრძანების შემდეგაც ცდილობდნენ ამ წესების დაცვას. ბატონების ძალა და მათი ავტორიტეტი საფრთხეს წარმოადგენდა ხელისუფლებისთვის, რომელთაც განდევნეს და/ან გაანადგურეს ბატონები. მათ ნაცვლად ხალხმა გააგრძელა წესების შესრულება და ის რაც დღემდე შემორჩა, სწორედ ამგვარი თვითშემოქმედების და ინტერპრეტაციის შედეგი უნდა იყოს.

სინამდვილეში, ვინ იცის, იქნებ სხვაგვარად იყო ყველაფერი. თუმცა ისიც კი, რამაც დღემდე მოაღწია, ნამდვილად ახერხებს ადამიანებისთვის წყალობის სამყაროში ცხოვრების, ანუ ბედნიერების გამოცდილების მიცემას, რაც, ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესი რამაა დღევანდელ მომხმარებლურ, მსხვერპლისმიერ სამყაროში.

ეპილოგი:

„ბატონების“ ამგვარმა გააზრებამ ერთი სურვილი ამიკვიატა. იქნებ გვეცადა და წილიწადში თუნდაც ერთხელ ბატონების კვირეული მოგვეწყო. ამისთვის საუკეთესო დრო ალბათ გვიანი გაზაფხულია, როცა იებიც ყვავიან და ვარდებიც. ეს იქნებოდა დღესასწაული სასმელისა და ხორცის გარეშე. წყალობის კანონების შესრულება აქცევს ამ ერთ კვირას დღესასწაულად. ერთმანეთთან სტუმრად ივლიან; გემრიელ კერძებსაც მოამზადებენ და დააგემოვნებენ, იმღერებენ, ერთმანეთს საჩუქრებით გაახარებენ... და სულაც არაა აუცილებელი, რომ ვინმეს წითელა ბატონები შეეყაროს. აი ამ რეალობაში იქნებოდა ბატონების ნანები „საკუთარ სახლში“, რადგან სცენა ვერასოდეს გახდება ამ სიმღერის ბუნებრივი სივრცე.

ფოტო გარეკანზე: ილუსტრაცია ნიბნიდან „მხიარულ-პრაგმატი ბატონები“,
მხატვარი - ქეთევან ქიქიძე

ავტორი: ბია ჩაგაძე - ფიზიკოსი, კომპანია Juniperus-ის სტრატეგიული
დაგეგმვისა და განვითარების დირექტორი

ჯილდოს მფლობელი ქართველი ქორეოგრაფი



მსოფლიოში ტრადიციული ქართული ქორეოგრაფია უკვე მრავალი წელია დიდი პოპულარობით სარგებლობს. აღფრთოვანებას იწვევს ცეკვების მრავალფეროვნება და ქართველი მოცეკვავეების ოსტატობა.

2022 წლის სექტემბერში ქართულმა ქორეოგრაფიამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევით ისახელა თავი: The Taurus World Stunt Awards-ზე, მეთიუ ვონის ფილმში The King's Man, საუკეთესო საბრძოლო სცენის კატეგორიაში, ქართული ქორეოგრაფიული ელემენტებით დადგმულმა სცენამ გაიმარჯვა. წარმატების ერთ-ერთი მთავარი გმირი კი ქართველი ქორეოგრაფი და მსახიობ-მოცეკვავე ლაშა მძინარიშვილია, რადგანაც მას დიდი წვლილი მიუძღვის ფილმში საბრძოლო სცენის დადგმაში და ამავდროულად მთავარი როლის შემსრულებლის დუბლიორიცაა. ყოველწლიურად ტაურუსის კასკადიორთა ჯილდო მაღალი ოსტატობით გამორჩეულ კასკადიორებს გადაეცემათ ხოლმე. წელს კი ამ დაჯილდოების ისტორიაში ლაშა პირველი ქართველი მოცეკვავე, ქორეოგრაფი, რომელიც არამხოლოდ ნომინირებული, არამედ ამ ჯილდოს მფლობელიც გახდა.



ლაშა მძინარიშვილი და The King's Man-ი, Action Production Georgia-ს დამფუძნებელმა დავით ხუბუამ დააკავშირა ერთმანეთს. სწორედ მან შესთავაზა ლაშას, როგორც პროფესიონალს, მონაწილეობა მიეღო საბრძოლო სცენის შესარჩევ ტურში, რომელიც ლონდონში ტარდებოდა. ლაშასთვის ეს შეთავაზება დიდი გამოწვევა იყო. როგორც თავად ამბობს, ასეთ მასშტაბურ ფილმში როლის შესრულება მისთვის, ცხადია, ძალიან საინტერესო იქნებოდა, ამიტომ გადაწყვეტილება სწრაფადვე მიიღო და მონაწილეობაზეც დათანხმდა. საბოლოოდ, მოწვევაც მიიღო ლონდონიდან, სადაც ერთი კვირის განმავლობაში

ორთაბრძოლებს ჯეკი ჩანის ჯგუფში სწავლობდა. შესარჩევ ტურში 15 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. ერთი კვირის შემდეგ ლაშამ სასტუმროში წერილი მიიღო: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება The King's Man-ში!... და ქართველი მოცეკვავე და ქორეოგრაფი ფილმში, რასპუტინის როლის (რის ევანსი) დუბლიორის როლზე დაამტკიცეს.



ქართულმა ცეკვამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია შემოქმედებით ჯგუფში. საბრძოლო სცენაში, რომელიც ცეცხლოვანი უნდა ყოფილიყო, რასპუტინი ებრძვის ოქსფორდის მთიულური ცეკვებისა და ხევსურული ფარიკაობის ილეთების გამოყენებით. გადაღებები Marv Tailor Production-ის კინო პავილიონში მიმდინარეობდა. მოცეკვავე ბაჩანა ჭანტურია ეხმარებოდა ლაშას სამუშაო პროცესში, რომელიც მისთვის, მართალია, შრომატევადი, მაგრამ, ამავე დროს, საინტერესო და სახალისოც აღმოჩნდა. ამას მოჰყვა სასიხარულო ცნობა იმის შესახებ, რომ The Taurus World Stunt Academy-ისა და Blue Ribbon Committee-ის გადაწყვეტილებით, ლაშას მიერ დადგმული სცენა „საუკეთესო ბრძოლის“ კატეგორიაში მოხვდა 2022 წლის ტაურუსის კასკადიორთა მსოფლიო დაჯილდოებაზე. დაჯილდოება Paramount Studio-ში გაიმართა, სადაც ნომინანტის დასწრება არც ისე მარტივი აღმოჩნდა, რადგან ვიზის მიღება დიდ დროს მოითხოვდა. პრობლემა საქართველოს პრეზიდენტის, საგარეო საქმეთა და კულტურის სამინისტროების დახმარებით გადაწყდა.

დაჯილდოებაზე The King's Man-თან ერთად ნომინირებული იყო Black Widow, Nobody, The Suicide Squad და The Last Duel. თვით ფაქტი, რომ ლაშას მონაწილეობით ფილმი ამგვარ პრესტიჟულ ჯილდოზე წარადგინეს, უკვე დიდი გამარჯვება იყო და მეტ წარმატებას თითქოს არც არავინ მოელოდა. თუმცა ქართველი მოცეკვავის ნიჭი და შრომა დაფასდა და ნომინაციაში საუკეთესო ბრძოლის სცენა The King's Man-მა გაიმარჯვა.

ლაშა ამ დიდ წარმატებამდე სავალ გზას ქართული ცეკვის სიყვარულით ჯერ კიდევ სულ პატარა, 6 წლის ასაკში შეუდგა. ცოტა მოგვიანებით, მეშვიდე კლასში, ნუგზარ ჭიჭურისა და ეთერ რეხვიაშვილის მოსწავლემ ქორეოგრაფობა გადაწყვიტა. ჯერ ანსამბლ „როკვაში“, შემდეგ კი მისთვის საოცნებო სუბიშვილებსა და თავისივე დაარსებულ „შუშპარში“ ცეკვავდა. „რუსთავი“ კი, სადაც ის დღემდე მოღვაწეობს, მისივე თქმით, ახალი აღმოჩენების ადგილად იქცა მისთვის. აქ ცეკვისა და სიმღერის გაერთიანებით კოსმოსი იქმნება, მე კი ამ კოსმოსის პატარა ნაწილი ვარ და ეს შეგრძნება ჩემთვის დღემდე დიდი ბედნიერებაო – ამბობს ლაშა.

დღეს ლაშა მძინარეშვილი უმნიშვნელოვანესი პრიზის, ტაურუსის კასკადიორთა საერთაშორისო ჯილდოს მფლობელია, ქართული ქორეოგრაფიის ახალი გზის სათავეებთან დგას და ამ რთულ და საინტერესო გზაზე ახალგაზრდების ერთ-ერთი მთავარი ორიენტირია.



ავტორი: თაონა ბენაშვილი - გიორგი შთაწინდელის სახელობის საქმელსიო გაღობის უმაღლესი სასწავლებლის მამისტრანტი

ჩიხილაკი ახალი წლის დღესასწაულები



„მთელი სამყარო სცენაა.

ხოლო ყველა – კაცი თუ ქალი უბრალოდ მოთამაშეა,

მათ ყველას აქვთ გასვლები და გამოსვლები:

და ადამიანი მისთვის მიცემულ დროში მრავალ როლს თამაშობს ...“

უილიამ შექსპირი

ქართველები ახალ წელს, დღესაც, სხვა მრავალი ხალხის მსგავსად, იანვრის კალენდართან აკავშირებენ და ძველი წელიწადის გაცილებასა და ახლის შეხვედრას დღესასწაულით აღნიშნავენ, რომელმაც დროთა განმავლობაში „საახალწლო პერფორმანსის“ ფორმა შეიძინა.[1] სადღესასწაულო დღეებში ყოველდღიური ცხოვრება რიტუალს ემსგავსება და საზოგადოების მიერ „შექმნილ“ მითოლოგიზებულ გარემოში საგნები და ადამიანები სიმბოლურად ტრანსფორმირდებიან რაღაც „სხვაში“, ყოველდღიური გამოცდილებისგან განსხვავებულში.

ქართულ (ისევე, როგორც მრავალ სხვა) ტრადიციაში დიდი ყურადღება ეთმობოდა პირველი დღის მაგიას; მნიშვნელოვანი იყო, თუ როგორ დაიწყებოდა (კვირის, თვის, ახალი წლის) პირველი დღე. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ ვინ შემოდგამდა ოჯახში პირველად ფეხს ახალ წელს და რას შემოიტანდა ის ოჯახში. ახალ წელს ასეთად პირველი სტუმარი – მეკვლე – ითვლებოდა, რომელიც მთავარ კომუნიკატორად აღიქმებოდა გარე და შინა სამყაროებს შორის. მეკვლე, პერსონიფიცირებული ალეგორია ხდებოდა იმ ძალისა, რომელსაც თავისი ბედნიერი ფეხით ოჯახისთვის კეთილდღეობა უნდა მოეტანა. ახალი წლის მილოცვის ფორმულაც ხომ ამ იდეის გამოხატველია: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისა“.

ტრადიციულად, ახალი წლის მითო-რიტუალური სცენარის „მოქმედი გმირები“ იყოფოდნენ ორ ჯგუფად შინა და გარე სამყაროებს შორის და ყოველწლიური პერფორმანსი ახლდებოდა და მეორდებოდა. გარე სივრციდან შემოსული მეკვლე, როგორც „უცნობი“, პერსონიფიცირდებოდა რომელიმე კეთილ ძალაში, უპირატესად წმ. ბასილში, რომლის ხსენების დღე 1 იანვარია; მას ოჯახის თითოეული წევრისთვის სხვადასხვანაირი სიკეთე უნდა მოეტანა (1).

წილის ყრით არჩეული მეკვლე თავისი როლის შესასრულებლად განსაკუთრებულად ემზადებოდა, ახალი წლის წინა საღამოს ტყეში თხილის (ქართულ ტრადიციაში ნაყოფიერების სიმბოლოს) შესაბამისი ტოტის მოსატანად მიდიოდა, რომელიც საახალწლო საკრალური ხის – ჩიჩილაკის დასამზადებლად გამოდგებოდა.

ეთნოგრაფიული აღწერებით, სახლში მოტანილ თხილის ხის ჯოხს მეკვლე ცეცხლზე გაათბობდა და ისე გათლიდა, რომ ბურბუშელები ხვეულებად დარჩენილიყო მასზე. შემდეგ ამგვარად გათლილ ჯოხზე ჰორიზონტალურად დაამაგრებდა ხის ორ ჯვარს: ერთს ფეხზე და მეორეს – თავზე. ხის თავზე სუროს ფოთლებით, წითელი კურკანტელით, ბაძგარით, მუქი ლურჯი სუროს კაკლებით, ფითრის ტოტებითა და სხვა მარადმწვანე მცენარეებითა და ბრონელებით მორთული დანული გვირგვინი, რომელსაც შემოდან რიტუალური პური – ბოკელი ჰქონდა, ნაყოფიერების სიმბოლო წარმოადგენდა (2). ჩიჩილაკზე ჯვრის ზედა ჰორიზონტალური გვირგვინიდან გამოჩრილ ბოლოებზე დაკიდებული ცომის ვაშლის ხელა ბურთულები კი, რომელთაც ყვინჩილებს უწოდებდნენ და გაპუტული, მხოლოდ კუდ და ფრთაშერჩენილი შაშვები კი (ზოგჯერ მხოლოდ კუდი იკიდებოდა, როგორც მგალობელი ფრინველის ნიშანი (მაგ. სირის კუდი) მეციური სამყაროს მარკერები და კეთილი სულიერი არსებების სიმბოლოები იყვნენ. ზოგჯერ ხეს ვერცხლის მონეტებით, ფერადი ბაფთებით, კანფეტებით და სამკაულებითაც რთავდნენ.

ჩიჩილაკს, ამ საკრალურ ხეს, რომელიც ტრადიციული განმარტებით, სიცოცხლის ხის ქართული ნაირსახეობაა (3), ბასილას ან ვასილას წვერსაც ეძახდნენ.

სხვა პერსპექტივიდან ჩიჩილაკი შესაძლებელია მზესაც შეედაროს. რიტუალური პური მის წვერზე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სწორედაც მზეა, რომლიდანაც ბურბუშელები – მზის სხივები გამოდიან. ჩიჩილაკი, თავისი ციური მარკერებით (ყვინჩილებით, შაშვით ან მისი კუდით), მიანიშნებენ არა მარტო ცაზე, არამედ მზეზეც, სინათლისა და სითბოს წყაროსა და ცენტრზე. მრავალ ტრადიციაში მზე უშუალოდ ხესთან ასოცირდება და ხის „ნაყოფად“ აღიქმება. ქართულ ენაში, ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ტერმინი მზებუდობა, რომელიც შეესაბამება მზის გამთრისა და გაფხულის ასტრონომიულ მდგომარეობას და მუსტად აღნიშნავს პერიოდს, რომელიც, ხალხური წარმოდგენებით, მზის ბუდეში დასვენების დროა. ბუდე კი თავისთავად მიანიშნებს ხეზე, რომელზეც მზეს თავისი სადგომი აქვს.



ჩიჩილაკი, როგორც სიმბოლო, ერთ შემთხვევაში, შეიძლება ავლენდეს ნაყოფიერების ასპექტს, სხვა შემთხვევაში ციური სიმბოლოების მეშვეობით შეიძლება

მიანიშნებდეს მეციურ სამყაროზე ან შეიძლება მთლიანად სოლარულ სიმბოლოდ იქნას აღქმული. ჩიჩილაკის ბურბუშელების ტალღოვან ხაზებს, ზოგადად, წყლის მნიშვნელობაც აქვს. აქედან გამომდინარე, ჩიჩილაკის ბურბუშელები შეიძლება დავინახოთ ტალღოვან სხივებად (ზოგადი სიმბოლოებით, ერთი მხრივ სითბოს, ხოლო მეორე მხრივ, ელვის (ციური ცეცხლის და წვიმის გამომხატველად), რომელიც დედამიწას ანაყოფიერებს. ამ ნიშნებში კვლავ ნაყოფიერების ასპექტია წამყვანი. რამდენადაც ჩიჩილაკს ზოგჯერ ბასილას ან ვასილის წვერსაც ეძახდნენ, ის შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც წმ. ბასილის ვეგეტაციური სიმბოლო ან ხე, როგორც მზის სადგომი და სხვა. აქედან გამომდინარე, ჩიჩილაკი, როგორც მრავალ-ვალენტური სიმბოლო, მისი აქცენტირებული ციური მარკერებით (ყვინჩილები, შაშვი ან სირის კუდი, რიტუალური პური) მიანიშნებდა არა მარტო ცაზე, არამედ – მზეზეც, სინათლისა და სითბოს წყაროსა და ცენტრზე. ჩიჩილაკი, კოსმოლოგიური პერსპექტივიდან შეიძლება დანახულ იქნას, როგორც სამყაროს ღერძიც (axis mundi), რომელსაც, იმავე დროს, აქვს ცეცხლოვანი და სხივური მახასიათებლები. ამ აზრით, ჩიჩილაკს ასევე აქვს „სინათლის ხის“ კონოტაცია (1).

მეკვლევს, რომელსაც, ხშირად, ბასილას (ვასილას) ეძახდნენ, ხელში ეჭირა ხის გობი, რომელზეც ნაყოფიერებისა და კეთილდღეობის სიმბოლოები ეწყო: რიტუალური კვერები – ბასილები (ცომისგან გაკეთებული ქიშმიშის თვალეზიანი პატარა კაცუნები, რომელთა რაოდენობა ოჯახში მყოფ მამაკაცთა რაოდენობას შეესაბამებოდა) – რიტუალური ხე – ჩიჩილაკი (ან სხვაგვარად, ბასილას წვერი), ღვინო, თაფლი, მოხარული შესანიერი ღორის თავი და სხვ. აღნიშნული რიტუალური საგნებით და სიმბოლოებით ხალხი ცდილობდა კომუნიკაციის დამყარებას გარე (საკრალურ) სამყაროსთან. გამთენიისას, მეკვლე (რიგ შემთხვევაში პერსონიფიცირებული წმ. ბასილში), დახუნძლული ნაყოფიერების სიმბოლოებით მოდიოდა სახლში, რომლის კარი მისთვის სამჯერ დალოცვისა და მოტანილი სიკეთეების ჩამოთვლის შემდეგ იღებოდა მხოლოდ. მეკვლე სახლში მარჯვენა ფეხით შედიოდა (წარმატების გარანტია ყველანაირი აქტივობისთვის) და ოჯახს ამ სიტყვებით დალოცავდა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისაო“. დალოცვის ეს ფორმულა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მეკვლე ხორცშესხმა იყო ფეხბედნიერი წმინდა არსებისა, რომელსაც დამდვეი წლისთვის კეთილდღეობა უნდა დაეხდებინა ოჯახისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ნახსენები რიტუალური ობიექტები, სიმბოლოები და ქმედებები შეიცავენ, როგორც ქრისტიანულ ელემენტებს და, ასევე, კოსმოლოგიური რწმენებით გაჟღერებულ ტრადიციულ რიტუალებს, ისინი, ფაქტობრივად, უფრო ბიზანტიური არაკანონიკური კულტურის გახალხურებულ ინტერპრეტაციაზე მიგვანიშნებენ, ვიდრე წარმართობაზე.

ახალი წლის მეკვლის განუყოფელმა ატრიბუტმა ჩიჩილაკმა, ქალაქში შემოსვლისას დაკარგა თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა და ფუნქციები. ჩიჩილაკის ჰორიზონტალურმა ჯვარმა, რომელზეც ნაყოფიერების მომტანი რიტუალური პური უნდა ყოფილიყო მოთავსებული, ვერტიკალურად აღმართული ქრისტიანული ჯვრის ფორმა მიიღო და ნაყოფიერების სიმბოლოდან თავდაპირველი მნიშვნელობისგან დაცლილ შობა-ახალი წლის ორნამენტად იქცა. ქალაქში გადმონაცვლებულმა სიმბოლომ ქართული „სამოშაო ნაძვის ხის“ მნიშვნელობა მიიღო, ამის თვალსაჩინო მაგალითი პრეზიდენტის ჩიჩილაკებით მორთული სასახლეა.



[1] იანვრის კალენდარი ნიშნავს წელიწადის ათვლას იანვრის თვიდან. ეს გამოთქმა ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში გამოიყენება, რადგან კალენდარის დაუსრულებელი რეფორმების გამო ახალი წლის ათვლა ქართულ რეალიაში ხან მარტიდან, ხან აგვისტოდან, ხან სექტემბრიდან იწყებოდა, სანამ წელიწადი იანვრიდან დაიწყებოდა. და იხმარება მარტის კალენდარი, აგვისტოს კალენდარი და ა.შ. იმის აღსანიშნავად თუ რომელი თვიდან იწყებოდა წელი.

ღამოწმებიანი:

1. აბაკელია ნ., უძველესი კოსმოლოგიური კონცეპტები და არქაული რელიგიური სიმბოლოები ქართველთა კულტურულ მემკვიდრეობაში, ილიას სახ. უნივერსიტეტი, თბილისი, 2017, 112-141.
2. ბარდაველიძე გ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბილისი, კავკასიური სახლი, (1941) 2006, 71-83; აბაკელია ნ., ალავერდაშვილი ქ., ლამბაშიძე ნ., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, კრიალოსანი, თბილისი, 1991. 28-47.
3. Бардавелидзе В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Наука-Восточная литература, Москва, (1957) 2015, 109-113.

ავტორი: ნინო აბაკელია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საკამიო ეპერიტუსი

აღიღო ჩრდილოეთ იტალიაში



ფაჩინსიძევიჩეაზის ტრადიცია და წაჩილობითი წყაროები, კონტრაფორმაციის კაჩიოლიძან დღაძე

საშობაო სიმღერების შესრულების ტრადიცია, რომელსაც იტალიურად *Stella*-ს (ანუ „ვარსკვლავს“) ან *Tre Re*-ს („სამ მოგვს“) ეძახიან, ფართოდაა გავრცელებული იტალიასა და სლოვენიაში – ტიჩინოს ალპურ რეგიონებში. უფრო მეტიც, ეს ტრადიცია პოპულარულია ცენტრალური ევროპის საკმაოდ ვრცელ არეალში, უპირველეს ყოვლისა, გერმანულენოვან რეგიონებში და, აგრეთვე, ბოჰემიაში, უნგრეთსა და სლავურ ქვეყნებში.



1982 წელი, ვალ დი ფანა-პენია, ვანსკვლავის მომღერლები © ჩანათო მოჩელი.



1982 წელი, ვალ დი ფანა-სორაბა, ვანსკვლავის მომღერლები © ჩანათო მოჩელი.

ქართული ალილოს ტრადიციის მსგავსად, შობასა და ნათლისღებას შორის პერიოდში მომღერლები, რომლებიც ხშირად სამი მოგვის დარად იმოსებიან, კარდაკარ დადიან და ასრულებენ სიმღერებს, რომლებიც, როგორც წესი, მონყალების თხოვნასა და ნაირგვარი საჩუქრის მიღებას უკავშირდება. მუსიკოსთაგან ერთ-ერთი ტრადიციულად ატარებს განათებულ ვარსკვლავს (სტელას). ამგვარი შემონირულობა შეიძლება გადაეცეს ეკლესიას ან თავად „მომღერალმა ვარსკვლავებმა“ გაინაწილონ.

ტრადიციულად, სტელა და მისი ვარიაციები სრულდება ზეპირად, პარტიტურის გარეშე. შეიძლება ამის გამო მათი პოპულარულ ხალხურ სიმღერებად, ანუ ზეპირსიტყვიერი ტრადიციის რეპერტუარის ნაწილად მიჩნევა? თუ შესაძლებელია ავტორების კვალზე გაყოლა და მათი აღმოჩენა? ასეთ შემთხვევაშიც, რამდენად რეალურია ამ ნიმუშების შექმნის თარიღების დადგენა? 1980-იანი წლების ბოლომდე ეს კითხვები პასუხგაუცემელი რჩებოდა.

1981 წელს დავიწყე სავლელ კვლევას მოჩენის ხეობაში, გერმანული ეთნო-ლინგვისტური წარმომბობის იზოლირებულ მთიელთა თემში, ტრენტინოში, სადაც სტელას ტრადიცია დღემდე განსაკუთრებით ძლიერია, მოვახერხე და სტელას თოთხმეტი განსხვავებული ვარიანტი ჩავიწერე, რომელთაგან თორმეტი იტალიურენოვანი იყო, დანარჩენი ორი კი – ლათინურენოვანი. ჩვეულებრივ, ჩრდილოეთ იტალიის სხვა რეგიონებში ტრადიციული სიმღერების ერთ, ორ, მაქსიმუმ სამ განსხვავებულ ვარიანტს თუ შეხვდებით.




1984 წელი. ვაქ ლეი მოკანი-ფიროსო-პენია, ვარსკვლავის მომღერალი © ნანაძო მოჩალი



2001 წელი. მოკანი-პალუს ვარსკვლავი © ნანაძო მოჩალი

1984 წელს, როგორც იქნა, მივაგენი წიგნის ასლს, რომელსაც მანამდე დიდხანს ვეძებდი. ეს იყო პატარა, 72 გვერდიანი გამოცემა სახელწოდებით Sacri Canti – საკრალური/საშობაო სიმღერების კოლექცია – რომლებიც მღვდელმა დონ ჯოვანი ბატისტა მიჩიმ (Don Giambattista Michi di Fiemme) შეაგროვა და შეადგინა. ჩვენ ამ წიგნს უბრალოდ მიჩის კოლექციად მოვიხსენიებთ.



დონ ჯოვანი ბატისტა მიჩი დაიბადა ტესეროში 1651 წლის 9 მაისს და გარდაიცვალა 39 წლის ასაკში 1690 წელს. რამდენადაც კრებული მიჩის სიცოცხლის პერიოდითაა დათარიღებული, შესაძლებელი გახდა დამენყო სხვადასხვა ისტორიული წერილობითი წყაროს თანამედროვე „მეპირი ტრადიციის“ კვლევა, რამაც, ამ შემთხვევაში, 1600-იანი წლების მეორე ნახევრამდე მიმიყვანა. თუმცა მაინც საჭირო იყო მიჩის მიერ გამოქვეყნებული სიმღერების წარმომავლობის გარკვევა. წიგნის შესავალში, რომელიც ეძღვნება „ღვთისმოსავ მკითხველს“, მიჩი ბუნდოვნად მიუთითებს სიმღერების წყაროზე:

„მე გადავწყვიტე შემეღვინა წინამდებარე კოლექცია სასულიერო საშობაო სიმღერებისა, რომლებიც აქა-იქ იყო მიმოფანტული და რომელთაგან ზოგი ლათინურ, ზოგი კი ჩვეულებრივ ხალხურ ენაზეა“.

de' Fedeli, con spiritual allegrezza, a cost' alti Misterj, ho determinato a fare la presente raccolta de' Sacri Canti, a dette solennità appropriati, li quali dispersamente, ed in varj luoghi ho trovati; parte in latino, parte in volgare; con l'aggiunta d'alcune lodi della Beatissima Vergine, perchè essendo ella gran Madre di Dio, Avvocata de' Peccato-

ამგვარად, მიჩიმ, სავარაუდოდ, სიმღერების ტექსტები მანამდე არსებული ხალხური ტრადიციიდან მოიპოვა. შესაძლოა სულაც მანამდე ნაბეჭდი წყაროებიდან ამოკრიფა. საბოლოო ჯამში, მან შეიძლება ორივე ხერხი გამოიყენა და გზადაგზა საკუთარი შეხედულებისამებრ შეაგოს და ჩაასწორა. ბოლონის კონსერვატორიის, რომში Vallicelliana-ს და ლონდონში ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკებში მიზანმიმართულმა კვლევამ საშუალება მომცა გამომერჩია რამდენიმე წყარო მიჩის კოლექციიდან. ეს წყაროები ნაწილობრივ იყო დიდი მუსიკალურ-სასულიერო ძვრებისა და ცვლილებების შედეგი ტრიენტის საეკლესიო კრების ხანაში (1545–1563), რომლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მუსიკალურ მიღწევას წარმოადგენდა სასულიერო ტექსტებზე აგებული საერო მუსიკა, რომელიც იტალიურად ცნობილია, როგორც „laudi a travestimento spirituale“. ამ პროცესის ცენტრალური ფიგურები იყვნენ კარლო ბორომეო და მღვდელი სერაფინო რაცი, რომლებიც კრების პერიოდში ექვსი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ მღვდელ მუსიკოსთა კომისიას, რომლებიც თხავდნენ სიმღერებს, შემოქმედებითი პროცესი სასულიერო ტექსტების ფართოდ ცნობილ პოპულარულ ჰანგებზე ადაპტირებას გულისხმობდა.

ეს სტრატეგიული და მასშტაბური ინიციატივა მიზნად ისახავდა წინააღმდეგობის გაწევას ჩრდილოეთით გაძლიერებული პროტესტანტული მოძრაობებისათვის, რომლებიც ნელ-ნელა იკიდებდნენ ფეხს იტალიის ალპებში. ამ სასულიერო ტექსტების პოპულარიზაციის გზით, ისინი იმედოვნებდნენ, რომ შექმნიდნენ ერთგვარ სასულიერო ბარიერს „მისიონერულ ტერიტორიაზე“ ლუთერანული და კალვინისტური წარმოშობის რეფორმატორული სიმღერების კრებულების წინააღმდეგ, რამდენადაც ამგვარი წიგნების თავიანთ რეგიონში გავრცელების საფრთხეს ხედავდნენ. ისინი იბეჭდებოდა ისეთ ენებზე, როგორიცაა იტალიური, ფრანგული, ლათინო-რომაული და სხვადასხვა გერმანული ენები. ხუთი საშობაო სიმღერა მიჩის კოლექციიდან მეტ-ნაკლებად უშუალოდ იმ ყველაზე მნიშვნელოვანი კოლექციებიდანაა, რომლებიც სასულიერო ტექსტების პოპულარულ ჰანგებზე განყოფილ პრაქტიკას ასახავს.

ასეთებია: „Dolce felice notte“, „L'unico figlio dell'eterno padre“, „Angeli correte subito“, „Oggi è nato un bel bambino“ და „Verbum caro“.

მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ კონტრ-რეფორმაციული წარმოშობის ორიოდ ნიმუში.

Dolce felice notte

ეს სიმღერა გამოქვეყნდა მიჩის კრებულში სათაურით „Divoto Cantico per la notte di Natale“ (შობის ღამის რელიგიური სიმღერა), რომელიც იწყება სიტყვებით: „Dolce felice notte“ („ოჰ, სიხარულით აღსავსე ბედნიერი ღამე“).

| | |
|--|--|
| <p style="text-align: center;"><i>Devoto Canto per la Notte di Natale.</i></p> <p>Dolce felice notte Più chiara, che alcun giorno; Aer di luce adorno, E grata stella. Vergine, e Madre bella, Di quel, che 'l Mondo regge; Pastori, e pio Gregge, Iosef Santo. Tenor mentre, ch' io canto, Fatte alle mie Parole, Poiche quel Sommo Sole In terra splende. Vn Chor d' Angeli scende, Di sopra la Capanna, E cantan tutti Hofanna; E Gloria in Clelo.</p> | <p>Mandiamo il duro gelo Lontan da' nostri cuori, Cantando co i Pastori, Tanto ardenti. Non siamo vili Armenti, Ne meno altieri Monti, Mà andiamo humil', e pronti Al bel Messia. Verranno in compagnia Tre Maggi dall' Oriente, E ogn' vn co' l suo presente, A lui s' inchina. Con loro, Alma Regina, Cantando presentiamo Il cuore, e ciò c' habbiamo Al tuo bel Figlio.</p> |
|--|--|

დღეს ეს საშობაო სიმღერა ფართოდ არის გავრცელებული მთელ ალპებში. „Dolce felice notte“ -ის უძველეს სასულიერო წყაროს წარმოადგენს წიგნი *Libro Primo delle Laudi Spirituali* (Razzi 1563), რომელშიც სიმღერა გამოცა სახელწოდებით „Laude della Natività di Giesù di Fra Serafino Razzi“.

Libro Primo
DELLE LAUDI SPIRITVALI
DA DIVERSI ECCELL. E DIVOTI AVTORI,
ANTICHI E MODERNI COMPOSTE.

Le quali si vñano cantare in Firenze nelle Chiefe dopo il Vespro
ò la Completa à consolatione & trattenimento
de' diuoti ferui di Dio.

*Con la propria Musica e modo di cantare ciascuna Laude, come si è usato
da gli antichi, et si usa in Firenze.*

Raccolte dal R. P. Fra Serafino Razzi Fiorentino, dell'ordine
de' Frati Predicatori, à contemplatione delle Monache,
& altre diuote persone.

Nuouamente Stampate.



Con Privilegio della Illustriss. Signoria di Venetia, & del
Duca di Firenze, & di Siena.
In Venetia, ad instantia de' Giunti di Firenze.
M. D. L X I I I.

CANTVS

Dolce felice e lieta notte piu ch'alcu giorno
Aer aer di luce adorno - e grata stella.

TENOR

Dolce felice e lieta notte piu ch'alcu giorno Aer

BASSVS

Dolce felice e lieta notte piu ch'alcu giorno Aer
aer di luc' adorno - e grata stella.

ფლორენციელი მღვდლის ეს ვერსია ხელახლა სრულად გამოიცა უამრავ მომდევნო კრებულში, რაც ცხადად ადასტურებს მის აშკარა პოპულარობას.

L'unico figlio dell'eterno padre

ეს სიმღერა გამოქვეყნდა მიხის კრებულში „Canto divoto per il giorno della Natività di Nostro Signore“ („საშობაო დღის რელიგიური სიმღერა“), სათაურით „L'unico figlio dell'eterno padre“ („მარადი მამის ერთადერთი ძე“).

*Canto divoto per il giorno della Natività di
Nostro Signore .*

L'Unico Figlio dell' Eterno Padre,
Promess' hauea già di scoprirsi à noi .
Pur se ne stava nelli abissi suoi .
O' quanti Reggi, e quanti gran Profeti
Han desiato di veder' il giorno,
Che discendesse à far trà noi soggiorno .
Hor l' han' veduto li poveri Pastori ,
Giacer nel fien , entro vna Capanella ;
Co' l buon Giosef' e Maria Virginella .
Fatta la pace hor' è trà l' huomo, e DIO ;
Hor s' è cangiato il nostro pianto in riso ,
Sei pur venuto , ò Rè del Paradiso .
Non ti partir dalli occhi nostri mai,
Che à tè le Lodi , à tè darem gl' honci ,
Sempre cantando li tuoi Celesti Amori .

დღესდღეობით, ეს საშობაო სიმღერა ასევე გავრცელებულია მთელ ალბუმში. „L'unico figlio“-ის სასულიერო ტექსტის უძველესი წყაროა კრებული Terzo libro delle laudi spirituali (Terzo libro 1577), რომელშიც იგი 56-ე გვერდზე გვხვდება შემდეგნაირად: „Nella natività di Christo nostro Salvatore“.



157. Haude Spirituali. CANTO.



Nella Natiuita di Christo nostro Salvatore.

**L'unico figlio dell' eterno Padre
 Promesso hauea già di scoprifi à noi,
 Pur se ne staua ne gl' abissi suoi.
 O quanti Regi e quanti gran Profeti
 Han desiato di ueder il giorno,
 Che discendesse à far tra noi soggiorno.
 Hor l'han ueduto poueri pastori
 Giacer nel fieno, entro vna Capannella
 Col buon Gioseffo e Maria Virginella.
 Fatta e la pace hor'è tra l'huomo, e Dio,
 Hor s'è cangiato il nostro pianto in riso,
 Sci pur venuto è Re del Paradiso.
 Non ti partir da gl'occhi nostri mai,
 Ch'è te le lodi à te darem gli honori,
 Sempre cantando i tuoi celesti amori.**

ეს ტექსტი მთლიანად ზედმიწევნით იმეორებს მიჩის ტექსტს. მოგვიანებით, „L'unico figlio dell'eterno padre“ მთლიანად შევიდა მრავალ მომღეწო კრებულში.

Noi siamo i tre Re

სამწუხაროდ, ასეთი კვლევა ყველა ტექსტისთვის არ აღმოჩნდა შესაძლებელი. ასეთია, მაგალითად, „Noi siamo i tre Re venuti dall'oriente“ („ჩვენ ვართ სამი მეფე აღმოსავლეთიდან მომავალი“), ყველაზე გავრცელებული „მომღერალი ვარსკვლავების“ (მეალილეების) სიმღერა, რომელიც კვლევების მიხედვით დიდი ხნის, უწყვეტი ტრადიციაა ალპებში. ამ სიმღერის კვალი არ არის არც კონტრრეფორმაციის სასულიერო ტექსტებში და არც მიჩის კოლექციაში. მას მღერიან პრემანაში, ვალსასინას თემში, სადაც 2011 წელს გადავიღე ფილმი ხმები სიმალლიდან: სამი დღე პრემანაში, რომელიც ასახავს მრავალხმიანი მღერის ადგილობრივ ტრადიციას.




ფილმის ოფიციალური პრეზენტაციის დროს პრემანაში, 2011 წლის 20 ოქტომბერს, შეგხვდი ცნობილ იტაურ მეცნიერს, პროფესორ ანტონიო ბელატის, რომელიც ითვლება ქალაქის „ცოცხალ მემკვიდრედ“. ჩვენ ვისაუბრეთ ამ სიმღერაზე, ბეჭდური პირველწყაროების მოპოვების სირთულეებზე და იმაზე, რომ რეალურად არაფერი იყო ცნობილი მისი წარმოშობისა და ავტორის შესახებ. ხანდაზმულმა ისტორიკოსმა, ამ საკითხისადმი ინტერესის გაღვივების კვალდაკვალ, გაიხსენა, რომ ახალგაზრდობაში „რალაც (მსგავსი) უნახავს“ და დამპირდა, რომ შეეცდებოდა მოეძიებინა მემკვიდრეობაში ბუნდოვნად შემორჩენილი დოკუმენტები. მართლაც, ერთი თვის შემდეგ, პროფესორმა ბელატიმ პრემანაში იპოვა საღვთისმსახურო სიმღერების კრებული, რომელიც ნაბეჭდი ბუკლეტების სხვადასხვა კომპონენტის ტექსტების ერთობლიობას წრამოადგენდა. მათ შორის იყო „სამი პერსონაჟის სიმღერა“, რომლებიც განსახიერებენ მოგვებს, რომელიც შეიცავს „Noi siamo i tre Re“-ს, პრემანაში გამოყენებული ვერსიის სრულ ტექსტს.

CANTATA
 PER I PERSONAGGI
 rappresentanti
LI TRE RE MAGGI
 Composta del Rev. Sig.
GIUSEPPE MARIA ISOTA
 Penitenziere di Forno



IN COMO
 Ditta C. Pietro Ostinelli

3
Noi siamo i tre Re
 Venuti dall' Oriente
 Ad adorar GESU'




Ch' è un Re Superiore,
 Di tutti maggiore,
 Di quanti al Mondo
 Ne furono giammai

4
Ei fu che ci chiamò
 Mandando la stella,
 Che ci condusse qui.




Dov' è il bambinello,
 Vezzoso e bello,
 In braccio a MARIA,
 Ch' è Madre di lui.

5
 L' amabil Signor
 Si merita i Doni
 Assieme al nostro Cuor.




Perciò abbiam portato
 Incenso odorato,
 E Mirra, ed Oro
 In dono al Re Divin

6
 Quell' Oro che portiam
 Soccorre, o MARIA,
 La vostra povertà,




D' incenso l' odore
 Ne toglie il fetore
 Di stalla immonda
 In cui troviam GESU'

7
 E questa Mirra poi
 Insegna del Bambino
 La vera umanità.



Chorus
 E moria di passione
 L' amaro boccone,
 L' amara bevanda,
 Che per noi soffrirà.

8
 Or noi se n' adiam
 A' nostri Paesi
 Da cui venuti siam,



Ma qui resta il cuore
 In mano al Signore,
 In mano al Bambino,
 Al Bambinel GESU'.

IL FINE

ამ შემთხვევაშიც, სატიტულო გვერდზე არ არის მითითებული გამოცემის თარიღი, მაგრამ მიუთითებს გამოცემელსა (პიერო ოსტინელი) და ავტორს – ღირსი ჯუზეპე მარია იზოტა, ფორნოელი „მომნანიებელი“ (აღმსარებელი). თავისი ჩვეული აკურატულობითა და ოსტატობით, პროფესორმა ბელატიმ ასევე მოახერხა 1732 წელს დაბადებული და 1794 წელს გარდაცვლილი მღვდლის ბიოგრაფიის რეკონსტრუქცია. პირველად, სწორედ პრემანაში ნაპოვნი ამ დოკუმენტის წყალობით, შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ დაესახელებინათ ალპებში ყველაზე გავრცელებული საშობაო სიმღერის ავტორი, არამედ დაედგინათ მისი შექმნის თარიღიც, ჩვენი „მომნანიებლის“ (აღმსარებლის) დეტალების წყალობით. „Noi siamo i tre Re“ ფაქტობრივად შეიქმნა 1759-1774 წლებში, როდესაც მამა ჯუზეპე მარია ისოტა იმყოფებოდა ფორნოში, ვალ სტრონაში, როგორც აღმსარებელი.

ბედისწერა, დასასრული, ხელახალი აღმოჩენა

სტელას (საშობაო) სიმღერების აღმავლობის ხანა, როგორც დოკუმენტურად დასტურდება, მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა, რის შემდეგაც დაიწყო მათი დაღმავლობის პერიოდი. მოგვიანებით ეს ტრადიცია მკაცრად აიკრძალა როგორც სამოქალაქო, ისე სასულიერო ხელისუფლების მიერ. ეს აკრძალვები თავდაპირველად გერმანიის ტერიტორიას მოიცავდა ალპების ჩრდილოეთით, მაგრამ შემდეგ თანდათან სამხრეთსაც გადასწვდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ტრიენტის საეპისკოპოსო, სადაც სტელას ტრადიცია იმ რიგი აკრძალვებისა და შეზღუდვების ობიექტად იქცა, რომელსაც თავად პრინცი ეპისკოპოსი ყოველ შობის ღამეს აცხადებდა ოცდაცამეტი წლის განმავლობაში, 1737 წლიდან 1770 წლამდე. ამ აკრძალვების მოტივი სწორედ პროკლამაციების ტექსტს უკავშირდება: „Sacri canti“, განკარგულებების თანახმად, გადაიზარდა სადღესასწაულო „ბახანალიებსა“ და ნაირგვარი საკრავების თანხლებით შესრულებულ სხვა პროფანულ სიმღერებში. აკრძალვის წესების დარღვევა ისჯებოდა პატიმრობით. მაშასადამე, სავარაუდოა, რომ ეპისკოპოსის განკარგულებებმა განაპირობა ამ ჩვეულების აღმოფხვრა, რომელიც უფრო მოზრდილ ცენტრებში „მაინც საქებარი“ რჩებოდა.

თუმცა ბედისწერა არ არსებობს ირონიის გარეშე, რადგან 1959 წლიდან დაიწყო ამ ტრადიციის კვლავ განახლება გერმანული და ავსტრიული ეკლესიების თაოსნობით, რომლებმაც დიდძალი ახალგაზრდობა შეკრიბა სოლიდარობის პროექტებში. 1959-დან 2015 წლამდე, დაახლოებით 950 მილიონი ევროს ოდენობის თანხები შეგროვდა 70,000-მდე ბავშვთა დახმარების პროგრამის მხარდასაჭერად აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, აზიაში, ოკეანისა და აღმოსავლეთ ევროპაში. 2015 წელს, სტელას სიმღერები, სხვა საშობაო სიმღერებთან ერთად, გერმანიის იუნესკოს კომისიამ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ ნუსხას დაუმატა.

სარწმუნოებრივი სიმღერების წყაროები (LAUDI SPIRITUALI):

Razzi (1563)

Serafino Razzi, Libro primo delle laudi spirituali da diversi eccell. e divoti autori, antichi e moderni composte. Le quali si usano cantare in Firenze nelle chiese doppo il Vespro ò la Compieta [...]. Con la propria musica e modo di cantare ciascuna laude, come si è usato da gli antichi, et si usa in Firenze. Raccolte dal R. P. Fra Serafino Razzi fiorentino, dell'ordine de' Frati Predicatori [...]. Nuovamente stampate, Venezia, Giunti, 1563 (Francesco Rampazetto).

[RISM B/I, 15636]

Terzo libro (1577)

Il terzo libro delle laudi spirituali, stampate ad instantia delli Reverendi Padri della Congregatione dell'Oratorio. Con una instruttione per promuovere, e conservare il peccatore convertito, Roma, eredi di Antonio Blado, 1577.

[RISM A/I, A 1239; RISM B/I, 15773a]

შემდგომი საკითხავი:

Morelli, Renato. 1996. *Identità musicale della Val dei Mòcheni: Canti e cultura tradizionali di una comunità alpina mistilingue*. Trento: Publistampa.

Morelli, Renato. 1997. "Formen des Dreikönigslieder in den deutschen und ladinischen Sprachinseln im östlichen Trentino." In *Beiträge zur musikalischen Volkskultur in Südtirol*, Bd. 17, edited by by Walter Deutsch and Gerlinde Haid, 284–313. Wien: Böhlau.

Morelli, Renato. 2011. "L'unico figlio dell'eterno padre ... Eine Sammlung geistlicher Lieder der Gegenreformation und ihr Fortleben in der mündlichen Überlieferung der Gegenwart." In *Volksmusik in den Alpen: Standortbestimmungen*, edited by Thomas Nussbaumer, 163–83. Innsbruck: Universitätsverlag.

Morelli, Renato. 2014. *Stelle, Gelindi tre re: Tradizione orale e fonti scritte nei canti di questua natalizio-epifanici dell'arco alpino dalla Controriforma alla globalizzazione*. Udine: Nota.

Morelli, Renato. 2020. "Christmas Carols in Northern Italy: Oral Tradition and Written Sources from the Counter-Reformation to Today." In *Good Tidings Made Visible: Re-enactments of the Nativity from the Middle Ages to the Present*, edited by Lenke Kovács and Francesc Massip Bonet, 151–189. Kassel: Reichenberger.

Morelli, Renato. 2014. *Voci alte: Tre giorni a Premana*. Venezia: Edizioni Fondazione Levi. With DVD.

ფოტო გარეკანზე: 1982 წელი. ვალ დი ფანს-პენია. ვარსკვლავის მომღერლები © რენატო მორელი



ავტორი: რენატო მორელი - ეთნომუსიკოლოგი,
მუსიკოსი, ჩემპიონი

ქრისტეშობის ზოგიერთი ქართული ხალხური ტრადიცია



ვიდრე 25 (7 იანვარს) დეკემბერს ცისკრის ვარსკვლავი ამობრწყინდება და საქართველოს მთასა და ბარს დაანათებს, მანამდე ყველგან განსაკუთრებული მღელვარებაა. ეს ვარსკვლავიც თითქოს სხვანაირია, განსაკუთრებული, თითქოს ისიც ღელავს და ნიადაგ ციმციმებს. მან იესო ქრისტეს შობა უნდა ახაროს დარდით და ვნებებით დამძიმებულ ადამიანს. ღელავენ ადამიანები, მეტად კი ძველად ღელავდნენ, როცა მაცხოვრის მოლოდინის სიხარული და აღმაფრენა გაცილებით მძაფრი იყო. მოვლიან ადამიანები, წესისა და ტრადიციის მიხედვით საუკეთესოს ამზადებენ, საღვთისმშობელს იმოსებიან და კრძალვით ეგებებიან მას, ვინც სიცოცხლე აჩუქათ, ვინც უანგარო სიყვარულს, იმედსა და ერთგულებას მიუძღვნის მათ. ღმერთთან შეხვედრის მოლოდინი განსაკუთრებული განცდაა და რაც მეტად გააზრებულია ის, მით ღრმად უფლის რწმენისა და სიხილოვის განცდა. სწორედ ეს ყოველდღიური, მატერიალური ყოფის სულიერებით განმსჭვალვა ანიჭებს სიცოცხლეს სარწმუნოებას. ამიტომ უღებდნენ სარკმელს, ღამით, სვანეთში შობის მადლს, ამიტომაც ვეგებებით ფანჯრებში სანთლით ღვთისმშობელს, რათა ჩვენს გულსა და სახლში იშვას მაცხოვარი.

რელიგიური რიტუალიც ამგვარი სამზადისით იწყება, რაც მისი განუყოფელი ნაწილია. რიტუალის დანიშნულებას სამყაროში წესრიგი კვლავ დაამყაროს, გარდაქმნას ადამიანი, ავადმყოფს ჯანმრთელობა მიმადლოს, ადამიანებს ერთობა და სოლიდარობა განაცდევინოს, დააკავშიროს მიღმა სამყაროსთან, ღმერთთან, ანგელოზებთან, ზებუნებრივ ძალებთან, წარსულთან და მომავალთან. რიტუალის სტრუქტურაში ძირითადად სამი ფაზის გამოყოფა შეიძლება: სეპარაცია, ტრანსფორმაცია და რეინკორპორაცია ანუ კვლავ დაბრუნება, რაც საერთო პურობაში გამოიხატება. პირველის დროს რიტუალის მონაწილე ორ იდენტობას შუაა: არც აქ არის და არც იქ, ძველიც აღარაა და ჯერ არც ახალი. ეს არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანი დროის და სოციალური სტრუქტურების მიღმაა. ჩემი აზრით, რიტუალის სწორედ ამ ფაზაში იწყება ფიზიკურად, ფსიქიკურად და სულიერად მომზადება ღმერთთან შესახვედრად. სასწაულთან შეხვედრის მოლოდინის მაცნე ალბათ ამ დღის ცისკრის ვარსკვლავია. მას ჩვენშიც ეგებებოდნენ ოცი საუკუნის მანძილზე და დღესაც ელიან. მანამდე კი, ვიდრე ის ცაზე გამოჩნდებოდა, იკვლებოდა შობისთვის ნასუქი საშობაო ღორი, იხარშებოდა საშობაო ფაფა, მზადდებოდა „ქრისტეს ოხშამი“, ცხვებოდა საშობაო რიტუალური პურები იესო ქრისტესთვის, ოჯახის წევრებისთვის თუ მეალილეებისთვის განკუთვნილი.

ზოგან მოსახლეობა ჯერ კიდევ შემოდგომის პირზე იწყებდა საშობაო ღორის გასუქებას, რომელსაც შობის წინა დღეს კლავდნენ. მას სვანეთში ლეჭრისდემს უწოდებდნენ, სამეგრელოში საქირსე ღორს, კახეთში ქოსმენს, ქართლში საალებო ღორს. ზოგან კი საშობაო ღორი სწორედ შობა დღეს იკვლებოდა.

საშობაო სამზადისის დროს რიტუალური პურების გამოცხობა და ფაფის მოდუღება ამ დღის სამზადისის მთავარ, ერთგვარ რიტუალურ საქმიანობად ითვლებოდა. ეს იყო ის მომენტი, როდესაც საოჯახო სამზადისი ნელ-ნელა საშობაო რიტუალში გადაიზრდებოდა. იხარშებოდა პურის მარცვლის ფაფა, რომელსაც სხვა და სხვა სახელი დაერქვა: ჭანტილა (სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი) ან კორკოტი (იმერეთი, გურია, სამეგრელო), ქრისტეს კორკოტი (ქართლი, თუშეთი), ცხრანგენა (ქართლი, კახეთი)... საწანდილე/საკორკოტე პურის მარცვალის ქალებს მზის ამოსვლამდე უნდა დაერჩიათ და მოსახარშად ჩაედგათ, მას ხახვით, მარილით და ნიგვზით ან თაფლით/შაქრით და ნიგვზით კმაზავდნენ.

ჭანტილობა დღეს დიასახლისი ყველაზე ადრე დგებოდა, გობი, რომელშიც საჭანტილე (ფაფისთვის გამზადებული მარცვალის) ეყარა, შუა ცეცხლთან გამოჰქონდა და ხელს სამჯერ ისე მიარტყამდა, რომ შიგთავსის ნაწილი, რაც დარტყმისას გადმოცვივდებოდა, ცეცხლში ჩაყრილიყო და ვარგად მოჰკიდებოდა. ამის შემდეგ საჭანტილეს გარეცხავდნენ, ჩაყრიდნენ ქვაბში და ცეცხლზე ჩამოკიდებდნენ. როდესაც ვარგად მოიხარშებოდა, ყოველგვარი თესლეულის სამ-სამ მარცვალს (სიმინდი, ლობიო, ცერცვი, ოსპი) მოხარშულ ჭანტილში ჩაყრიდნენ. მოხარშული ჭანტილის ქაფს გარეთ ხეებს წაუსვამდნენ, მომავალ წელს მოსავლი უხვი იქნებოდა. ჭანტილის ჭამა საღამომდე, ვახშმობამდე არ შეიძლებოდა. ხალხის რწმენით, საითაც გადავიდოდა ხარშვისას კორკოტი, იმ მხარეს იქნებოდა მომავალ წელს კარგი მოსავალი. ცხრანგენას ძირითადად აკეთებდნენ ლობიოთი, რომელსაც სხვადასხვა მარცვლეულს უმატებდნენ: ქერს, სიმინდს, ხორბალს, ფეტვს, ცერცვს, მუხუდოს. მოსავლის სიუხვის მიზნით წვენი სქელი უნდა ყოფილიყო. როდესაც ცხრანგენა მოიხარშებოდა, დაილოცებოდნენ- ბევრი მშვიდობის შობა-წელიწადი მოგვიბრუნეო. ამავე დღეს დამბალ ხორბალს ნაყავდნენ და წყალში ხარშავდნენ. ხორბალს წყალში გუთნისდედა ჩაყრიდა და მსხლის ჯოხით ურევდა. შემდეგ ამ ჯოხს სახლის კედელში ამაგრებდნენ და ერთი წლის განმავლობაში ინახავდნენ. მარცვლის ქერქის ანუ შედედებული ზედაპირის ნაწილს გუთნისდედა სახლის ბოძებს ან კედელს წაუსვამდა, ცოტას ხარებს აჭმევდა, ცოტას თვითონ მიირთმევდა. გუთნისდედა კორკოტს ოჯახის ყველა წევრს თავისი ხელით აჭმევდა. ახალი მიცვალებულის პატრონები კორკოტს არ აკეთებდნენ. ზოგჯერ ხორბალს ხშირწვერიანი კაცი ნაყავდა და წყალში ყრიდა- ხშირი ყანა გვექნებაო. ხანაც ფქვილს ბიჭი ხარშავდა, გარეთ გაჰქონდა და ხშირი ტყისაკენ იყურებოდა, ისევ ხშირი ყანის მომლოდინე (მთიულეთი, გუდამაყარი და ერწო-თიანეთში).



© ნინო ფუჩაძე

ზემო სვანეთში ამ დღეს კანაფის თესლისგან მეჯორს ამზადებდნენ. მეჯორი დანაყილი და ზეთგამოცლილი კანაფის თესლი ან ნიგოზია, რომელსაც მარილით აზავებენ და სანებლად ხმარობენ. ვახშობის დროს ორ სუფრას შლიდნენ, ერთს ცოცხლებისთვის და მეორეს მიცვალებულებისთვის. ლოცვობდნენ და იხსენიებდნენ ლამარიას და ქრისტეს (ქრისტეს). ჩოგანს და კოვზს, რომელსაც შობისთვის ხმარობდნენ, რიტუალის დასრულების შემდეგ კვლავ ინახავდნენ მომავალი შობისთვის. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ დღეს და ყველა დღესასწაულზე, მთელ საქართველოში, ცოცხლებთან ერთად, მიცვალებულებსაც იხსენიებდნენ.

ამ დღის აუცილებელი შესაწირი რიტუალური პურებიც იყო. რაჭაში სავახშობოდ სამ ნიგოზიან განატეხს აცხობდნენ. ჩამოქნიდნენ ოთხ სანთელს, სამს ჩაარჭობდნენ თითო-თითოდ განატეხში, მეოთხეს კი დიასახლისი ან ოჯახის უფროსი ხელში დაიჭერდა. ანთებულსანთლიანი განატეხი, ჭიქა ღვინო, ჭანტილა გობში ეწყო. მლოცველი, ქალი ან კაცი ამ გობს, ცეცხლის ახლოს, მარჯვნიდან მარცხნივ სამჯერ შემოატრიალებდა და შეულოცავდა ანუ ილოცებდა: „ღმერთო რამდენი ვაკალი ეს არის, იმდენი სიკეთე მოგვეცი, იმდენი კოდი ხვარბალი მოგვეცი, იმდენი თეთრი და ქონება მოგვეცი.“ ლოცვის შემდეგ მლოცველი ამ ოთხ ანთებულ სანთელს სახლის ოთხივე კუთხეში მიაკრავდა და ხელს არ ახლებდა, სანამ თვითონ არ ჩაინგებოდნენ. შემდეგ დასხდებოდნენ სავახშობოდ, ჭანტილას ჭამებში გადმოასხამდნენ, თუ ზეთი გამოხდილი ჰქონდათ, ჭამებში ზეთსაც ჩაასხამდნენ და შეექცეოდნენ. სტუმრებს ჭანტილასაც აჭმევდნენ და განატეხსაც. ლეჩხუმში საღამოს, ვახშობისათვის, უფროსი ქალი სამ პატარა კვერს, ჯვრიანს აცხობდა (კვერს ხველის ტაბლას ეძახდნენ). კვერებს გულში ნიგოზი და ხახვი უნდა ჰქონოდა. კვერებს და ჭანტილს გობში აწყობდნენ. გობის კიდზე, ნაკვერჩხალზე, საკმეველს აკმევდნენ ან სანთელს ანთებდნენ. სამ კვერსა და ღვინიან ჭიქას დიასახლისი კერიას ძირში მარჯვნივ სამჯერ შემოატრიალებდა და ილოცებდა: „ღმერთო, დაგვიფარე ხველისაგან, სნებისაგან (ანუ სნეულებისაგან), მოგვეცი სიმთელე საქონლის, კაცის სულს, რაც ხარ გვიშველე და მოგვემარე.“ ამის შემდეგ ვახშამზე შეიძლებოდა ჭანტილა და ტაბლებიც ეჭამათ. თუ ჭანტილა მორჩებოდათ, შობას ანუ მეორე დღეს არ გამოაჩენდნენ, რადგან იმ დღეს ჭანტილას ჭამა არ შეიძლებოდა. შობის შემდეგ კი მისი მირთმევა ყველას შეეძლო.

შობის წინა საღამოს ღვეზელისა და მუცლის სალოცავი კვერის გამოცხობაც იცოდნენ. თითო კვერში თითო კვერცხს დებდნენ. რამდენი წვერიც იყო ოჯახში, იმდენ კვერს აცხობდნენ. გურიაში მრავალწლოვან ანუ 24 (6 იანვარს) დეკემბერს დიდი საშობაო სამზადისი იცოდნენ. მთავარი ამ სამზადისის დროს ღვეზელის (რიტუალური პური) გამოცხობა იყო. ნახევარმთვარის ფორმის ღვეზელს ჰქონდა ხორბლის ფქვილისგან ამზადებდნენ და მასში ყველს და გამომშრალ, შებოლილ კვერცხებს, მთელ-მთელს ან შუაზე გაჭრილს დებდნენ. ღვეზელი, რამდენი წვერიც იყო ოჯახში, იმდენი ცხვებოდა, უფროსებისთვის დიდი ზომისა, პატარებისთვის კი უფრო მომცრო. ოჯახში მიცვალებულებულთა სახელზეც აცხობდნენ საშობაო ღვეზელებს.

ხევში ორი ყორბოული ან იგივე ქრისტეს პური ცხვებოდა, ასევე მთიულეთში, რომელიც ოჯახის უფროსს გარეთ უნდა გაეტანა, ცისთვის დაენახვებინა და ლოცვა ეთქვა. შემდეგ, პურს მუხლებზე დაიდებდა, ხშირ ტყეს გახედავდა, გადატეხავდა და შინ შევიდოდა.

ერწო-თიანეთში სამი დაჭრელებული კვერი – ქრისტის ოხშამი ცხვებოდა და გარკვეული რიტუალი სრულდებოდა.

თუშეთში ბავშვებს ავალეზდნენ ქერიფქლას (მაღალი, სქელღეროიანი ყვავილი) და ფიჭვის პატარა ტოტები მოეტანათ. საღამოს თითო ტოტს კარზე ამაგრებდნენ, ავი ვვალისაგან დაგვიცავსო. ყველაფერს, რაც განათხოვრებული ჰქონდათ, ამ დღეს იბრუნებდნენ – ქრისტეს და წელწადის ღამეს სახმარმა ნივთებმა, პირუტყვმაც და კაცმაც თავის ჭერქვეშ უნდა გაათენოსო. ასევე იქცეოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს

სხვა კუთხეებში.

სალამოს, მას შემდეგ, რაც დიასახლისი კეცს ცეცხლზე შემოდგამდა, დაიჭერდნენ კვალს და სახლიდან აღარავის არაფერს გაატანდნენ. დიასახლისი ადამიანებისა და შინაური ცხოველების გამოსახულების რიტუალურ პურებს აცხობდა. მათ სალოცავებს ეძახდნენ და ე. წ. ქრისტეს სუფრაზე უნდა დაედოთ. გრძელ ცომს ადამიანის ფორმას აძლევდნენ. ეს კაცის კვერი იყო. მრგვალ კვერს ოთხ მხარეს უგრძელედნენ, ძროხის ძუძუებიაო. ცხვრების კვერიც ასეთივე იყო, მხოლოდ ოთხის ნაცვლად ორი ძუძუ უკეთდებოდა. ცხენისთვის ნალისებრი კვერი ცხვებოდა. ცხვებოდა ერთი დიდი კოტორიც, რომელსაც ქრისტეს საგძალი ერქვა. ყველა კვერს, კორკოტს, ქრისტის კორკოტის ნახევარს, კალტის (ხაჭოს) კვერს ან ყველის პატარა ნაჭერს, ცოტაოდნენ მატყლს, არყიან პატარა ჭურჭელს, ერთ სანთელს ხონჩაზე აწყობდნენ. ყოველივე ამას ქრისტის სუფრა ეწოდებოდა. ქრისტის სუფრას განცხადებამდე (5/18 იანვარი) კილობნის თავზე ან თახჩაში ინახავდნენ. ქრისტეს კორკოტის მეორე ნახევარს დიასახლისი ოჯახისათვის ინახავდა. თითოეულ ვაჟს, ვინც იარაღს ატარებდა, ან მოზარდს, ამავე სალამოს პატარა გახვრეტილ კვერებს უცხობდნენ. კვერებს კერასთან, სამამაცო (კაცების) ადგილის თავზე დამაგრებულ პატარა ჩხირებზე წამოაჭმევდნენ ხოლმე. მათი ჩამოღება არ შეიძლებოდა. თავად თუ არ ჩამოცვივდებოდა, თავგს ან კატას უნდა შეეჭამა. ცხვებოდა ერთი ლუკმის ხელა მრგვალი პური – სათავსევიო კვერი, რომელსაც დიასახლისი ოჯახის ყველა წევრს სასთუმლის ქვეშ ამოუდებდა. ასეთივე კვერებს დებდნენ საცხოვრებლის და პირუტყვის სადგომის კარის თავზე ბუდეში ავი კვალისაგან დასაცავად. კერის პირას ნაცარში „ჩასვამდნენ“ კვერს, რომელსაც წაწვეტებული თავი და ცერცვის მარცვლების თვალეები ჰქონდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს იგი ჭერში იყურებოდა. კვერს მრავალი სახელი ჰქონდა: ღომლის დედა, ჭერიჭყყეტია, ნაცრისდედა და სხვა. იგი კერის მფარველი ანგელოზის სიმბოლო იყო და კერასთან რჩებოდა მანამდე, ვიდრე არ დაინვებოდა ან კატა-თავგი არ შეეჭამდა.

ხევშიც, შობას, რიტუალური კვერების გამოცხობა ჰქონდათ წესად. ამ ღამეს ყორბოულობა ღამეს ერთი საკვლევი, წმინდა სამების სამი პური, ორი ყორბოული ან ქრისტეს პური და თესლის პური ცხვებოდა. ყოველი პურის გამოცხობისას ცომს ჯვრის ნაჭდევს უკეთებდნენ. მხოლოდ ყორბოულს ჰქონდა ჯვრის ფორმის საკუთარი საბეჭდავი. ბავშვებისათვის ბედისკვერები ცხვებოდა და ცხობისას ვისი ბედისკვერიც ამოიბურცებოდა, იმას იღბლიან წელიწადს უწინასწარმეტყველებდნენ. ყორბოულს და თევზს ამავე ღამეს მიირთმევდნენ, ბედისკვერებსა და საკვლევს საახალწლოდ ინახავდნენ, ხოლო თესლის პურს – საგამაფხულო თესვამდე. ზოგი ყორბოულს, თევზს, არაყს ცეცხლს შემოატარებდა და მიცვალებულებს შენდობას ეტყოდა, მათ ჭამას კი მკვდრის პირის დაჭერას ეძახდნენ. ამავე სალამოს უნდა გამოეცხოთ პური, რომელსაც ონჩარი, ორთქლი უნდა ჰქონოდა – მალლა ასული ორთქლით მიცვალებულს შენდობა კარგად მიუვაო-ამბობდნენ.



23 (5 იანვარი) დეკემბერს ქართლში, ხოლო 24 (6 იანვარს) დეკემბერს კახეთში, ერწო-თიანეთში, გუდამაყარში თხილობას, ფხონაობას/ხონაობას ეძახდნენ. უფროსები თხილ-კაკალს გადაუყრიდნენ ბავშვებს, მათ კი რაც შეიძლება ბევრი უნდა „მოეფხონათ“, შეეგროვებინათ. თამაშობდნენ ლუწი-კენტობასაც. გუდამაყარში ოჯახის უფროსი თხილ – კაკლით და ჩირით სავსე ჭამს, მას შემდეგ რაც ცეცხლზე მოათარებდა და მიცვალებულებს შენდობას ეტყოდა, ბავშვებს ურიგებდა.

ღორი დაიკლა. ფხონაობის რიტუალურმა თამაშმაც მხიარულად ჩაიარა. და აი, ცისკრის ვარსკვლავმა ნიშანი მისცა შობის მახარებლებს, რიტუალურ მწყემსებს -მეალილეებს, რათა სახარებისეული მწყემსებისა და ანგელოზების დარად სიმღერა-გალობით ეხარებინათ, რომ ბეთლემში იშვა ქრისტე, ვინც მკვდრეთით აღდგომით დაამარცხებს სიკვდილს. იშვა მხსნელი. იშვა იმედი. განკაცდა ღმერთი.

ალილო (ანუ ალილუია, hallelujah – ვადიდოთ უფალი), როგორც ცნობილია, საშობაო სიმღერაა, რომელიც შობის დამეს სრულდებოდა. ტრადიციული წესის მიხედვით მრდასრული მამაკაცები, მეცხვარეების მსგავსად ჩაცმულები, ჯუბებში გამოწყობილები, კომბლებით ხელში სოფლის ყველა ოჯახის კართან მიდიოდნენ და სიმღერით ახარებდნენ, რომ იესო ქრისტე დაიბადა, რისთვისაც მათ, უპირველეს ყოვლისა, კვერცხით და ზოგიერთ რეგიონებში, მათთვის განკუთვნილი, წინასწარ გამომცხვარი რიტუალური პურიც ასაჩუქრებდნენ. მეალილეებს, მგალობლებს, ე. წ. ქრისტეს მახარებლებს ფულსაც აძლევდნენ და სხვა სანოვაგესაც, რისი საშუალებასაც ოჯახი გამონახავდა. შეგროვილი სანოვაგით მეალილეები ერთად იღებდნენ ბოლო მასპინძელ ოჯახში ან სხვაგან, მათივე შერჩეულ ადგილზე. ზოგან ამ სიმღერას გალობასაც ეძახდნენ, ზოგან კი ამბობდნენ, კაცი რომ ალილოს გიმღერებს, იგივეა, თითქოს დიდი ძღვენი მოურთმევიანო. ზოგან მეალილეები გამურულებიც დადიოდნენ, რომ ვერ ეცნოთ, ზოგან კი ალილოს მელიოდის ჩონგურზეც ამღერებდნენ.

ალილოს ტექსტი და მისი თანმხლები მელიოდია, მრავალფეროვანი და ვარიანტულობით გამორჩეული, რეგიონების მიხედვით მეტნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისგან. ასე მაგალითად:

„ოცდახუთსა ამ თვესაო,
ქრისტე იშვა ბეთლემსაო,
თქვენ გვაჩუქეთ გროშებით,
დაგელოცოთ ბოვშებით.“ (სამეგრელო)

„ალათასა, მალათასა,
ხელი ჩაკარ კალათასა,
ამოიღე ორი კვერცხი,
ღმერთი მოგცემს ბარაქსა.“ (იმერეთი)

„ოცდახუთსა ამ თვესაო,
ქრისტე იშვა ბეთლემსაო,
ქალბატონი ლამაზია
გადმოგვიგდებს აბაზიანს.“ (ქვემო სვანეთი)

„ალანთასა, ბალანთასა
ჩამოგვიდებ კალათასა,
ქალო, ერთი კვერცხი მომე
ღმერთი მოგცემს ბარაქსა.
ჩიტი ღობებზე შემოჭდა
იძახდა ქიშიშობასა,
ღმერთმა ყველანი დაგასწროთ
აღდგომა ქრისტეს შობასა.“ (მესხეთი)

„ოცდახუთსა და რამდენსა შობა გათენებულაო,
შობის მადლი შეგეწიოთ, ქრისტე დაბადებულაო.
ეს სახლი ვინ ააშენა, ვინ დახურა მუხის გული?
ამშენებლის დედა ცხონდეს, დამხურავის მამის სული.
„აკოშვიდან“ გადვიხედე, ერბო გიდგათ ქილებითა,
თუ გამოგაქვთ გამოიტათ, თორემ წავალთ გინებითა.
ალათასა, ბალათასა კვერცხი უნდა კალათასა.
აქა ღორი დაკლულაო, ნაყელარი ჩვენი.“

მეალილეთა ხელცარიელი გაშვება არ ვარგოდა, წყევლა იცოდნენ, რაც თავისთავად ცუდის
მომასწავებელი იყო ოჯახისთვის.

აო, ნასამედი თქვენიაო.

პატარძლო ჩვენო ლხინო, მარნის კარი გიჭრიალებს,
მარნის ქოცო აგვიხადე, ყელი ჩაგვიმაჭრიანე.“ (კახეთი)

ხალხური წესებისა და რიტუალების შესრულების გარდა ხალხი ამ დღის საზეიმო წირვა-ლოცვას ეწრებოდა, რის შემდეგაც მარხვა ხსნილდებოდა, იწყებოდა სტუმრიანობა და ქართული ტრადიციული ლხინი. შობას, დილით ადრე, საგანგებო საუბრე იცოდნენ, რომელსაც დილის ხაციცი (სამეგრელოში ოჭუშარეშ ხაციცი) ერქვა. იგივე წესს მისდევდნენ იმერლებიც; შობის გათენებამდე ჯერ ილოცებდნენ და მერე ისაუბრებდნენ. გურიაში ამ დღეს რძლის მშობლებს ძღვენს გაუგზავნიდნენ: საშობაო ღვებელს, ხარს ან ძროხა, ინდაურს, ღვინოს, გამომცხვარ პურებსა და ხაჭაპურს.

სოფელ შილდაში (კახეთი) მოსახლეობა ნეკრესში აღიოდა სალოცავად და შობის სამსხვერპლო ღორებს – ლომტახს კლავდა. ლეგენდის მიხედვით მორიგი დარბევის შემდეგ, ნადავლით სავსე ლეკებს ნეკრესთან ქართველებმა მამალი ღორები შეუსიეს და ბოლოს ხელცარიელებიც გაუშვეს. სწორედ ამ ამბის შემდეგ სწორედ შობას ნეკრესის სალოცავში სამსხვერპლოდ ღორებს. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ძირითადი საწესწევლებო რიტუალები ხატში სრულდებოდა. სახლში მთისთვის დამახასიათებელ კერძებს ამზადებდნენ: ხინკალს, შეთქმული საკლავის ხორცს, ფაფას, მოხარშულ ბრინჯსა და სხვა. ზოგჯერ ჭირისუფალი ახალი მიცვალებულის სახელზე კლავდა საკლავს, ხევში წესად ჰქონდათ, მიცვალებულისთვის წლამდე შვიდი სუფრა უნდა გაშლილიყო, ერთ-ერთი კი სწორედ შობის დღესასწაულზე. ამ დღეს საფლავზე გასვლაც წესად ჰქონიათ. თუშეთში, დილით, ოჯახის ერთ-ერთ წევრს უმძრახად მოჰქონდა წყალი, რომლითაც საშობაო სუფრისთვის განკუთვნილი კერძები უნდა დამზადებულიყო. დღისით ერთი გვარის წევრები ერთმანეთს სტუმრობდნენ, საღამოს კი შიყარაში (სოფლის თავყრილობა, ჯარი) იკრიბებოდნენ. საშიყარო სანოვავეს კი ახალგაზრდები კომლობრივ აგროვებდნენ. ზოგან კი შიყარაზე ალილოზე შეგროვებულ საჭმელსაც მიირთმევდნენ. შიყარას ღამეს ნათე (ხატის მსახური) ირჩევდა მაქალათეებს: ორ ვაჟს და ორ ან სამ ქალს, რომლებიც ნათეს წელწლობის (ახალი წლის) ჯარობაზე მოეხმარებოდნენ ხალხის გამასპინძლებაში.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ხატის მსახურები ხატში შობის ან ახალი წლის ღამეს მიდიოდნენ. ისინი აღრიანად იწყებდნენ წმინდობას. ცხოვრობდნენ „სუფთა“ ადგილზე (მაგალითად, ხევსურეთში ჭერხოში), წყვეტდნენ ცოლ-ქმრულ ურთიერთობას, არც უწმინდურ ადგილებში დადიოდნენ. შობის წინა დღეს მისული ხატის მსახურები მთის მდინარეში აუცილებლად ცხრაჯერ განიბანებოდნენ (ჩაყვინთავდნენ), რაც განწმენდის რიტუალის შემადგენელი ნაწილი იყო. ვიდრე ხატში ღამისთვისას სმა დაიწყებოდა, მანამდე მარხვას ყველა ფაფით „გატეხდა“, ფაფიან ჯამს ტაბლაზე ცეცხლის ახლოს დგამდნენ, ხუცესი სამჯერ ჩაასხამდა ცეცხლში ერბოს, თუ ცეცხლი ძალიან აბრიალდებოდა, კარგი წლის დადგომას იმედოვნებდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ შეექცეოდნენ ფაფას, ზედამდეგები კი იქ მყოფებს ლუდს მიართმევდნენ. ღამეს ყველანი იქვე ათენებდნენ. გათენებისას, მას მერე რაც ხატის მსახურები სოფლიდან გამოგზავნილ არაყს დალევდნენ, ხელ-პირს დაიბანდნენ და ჟამის წირვის მსახურებას შეუდგებოდნენ, რომლის დასრულების შემდეგ სალოცავში მლოცველები მიდიოდნენ.

ამგვარად გადიოდა ჩვენში შობა, რომლის მთავარი სავედრებელი მაღალთა შინა ღმერთის დიდება, ქვეყანასა ზედა მშვიდობისა და კაცთა შორის სათნოების ნატვრა იყო.

ფოტო გარეკანზე: © ნინო ფერაძე



ავტორი: ნინო ლაშავიშვილი - ისტორიის ექსპერტი

ინტერვიუ ქეროლაინ ბითელთან



ეთნომუსიკოლოგი, მანჩესტერის უნივერსიტეტის პროფესორი ქეროლაინ ბითელი საქართველოს ხშირი სტუმარია და კარგად იცნობს ქართულ მუსიკას. ახლაც ჩვენს ქვეყანას ქართული ტრადიციული მუსიკისა და ცეკვის კვლევის მიზნით ეწვია. პროექტი, სახელწოდებით „შემსრულებლობა საქართველოში: მემკვიდრეობის დაცვიდან ინტერკულტურულ მუზიციურებამდე“, ბრიტანეთის აკადემიისა და Leverhulme Trust-ის დაფინანსებით ხორციელდება.

კვლევა საქართველოს მაგალითზე ეთნომუსიკოლოგიისა და მემკვიდრეობის საკითხებს ეხება და მისი შედეგები მონოგრაფიული ნაშრომის სახით წიგნად გამოიცემა. სხვადასხვა რეგიონში მუსიკისა და ცეკვის პრაქტიკების მიმოხილვასთან ერთად, ნაშრომში ადგილი დაეთმოთ კავშირს იუნესკოს მიერ აღიარებული ქართული მრავალხმიანობის ალორძინებასა და საზღვარგარეთ არსებულ ანსამბლებს შორის, რომლებიც საქართველოს სტუმრობენ ადგილობრივი ოსტატებისაგან სიმღერების შესწავლის მიზნით. მკვლევრის მიერ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროგრამებსა და კერძო ინიციატივებს (grass-roots) შორის კომპლექსური ინტერფეისის ანალიზი იმ აქტუალური საკითხების ახლებურ გააზრებას გულისხმობს, რომლებიც ოცდამეერთე საუკუნეში ტრადიციული საშემსრულებლო პრაქტიკის სიცოცხლისუნარიანობასა და შენარჩუნებას ეხება.

თუ შეიძლება გააცანით მკითხველს საკუთარი თავი და გვიამბეთ თქვენი საქმიანობისა და, აგრეთვე, ამჟამინდელი კვლევის შესახებ.

მე გახლავთ მანჩესტერის უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგიის მიმართულების პროფესორი. განათლებით ეთნომუსიკოლოგი და ენების სპეციალისტი ვარ, თუმცა საბოლოოდ არჩევანი მაინც ეთნომუსიკოლოგიაზე შევაჩერე, რადგანაც მასში თავს იყრის ყველაფერი, რაც მიყვარს: მუსიკაც, ანთროპოლოგიაცა და ენებიც. ჩემი სადოქტორო კვლევა კორსიკულ ტრადიციულ მუსიკას ეძღვნება, კერძოდ კი, მისი ალორძინების პროცესებს როგორც 1970-იანი წლების ეროვნულ მოძრაობასთან კავშირში, აგრეთვე 1980-1990-იანი წლების მსოფლიო მუსიკის კონტექსტში. ჩემი პირველი წიგნიც სწორედ სადისერტაციო ნაშრომია.

ჩვენ ვიყენებთ სიტყვას „აღორძინება“ (revival) იმგვარ საგნებთან მიმართებაში, რაც დაიკარგა, ან დაგინწყებას მიეცა, ანაც, მაგალითად, დაღმავლობის გზაზე მდგარ, გაქრობის პირას მყოფი ტრადიციის მიმართ. ამის გათვალისწინებით, რამდენად მიესადაგება ეს ტერმინი („აღორძინება“) კორსიკულ მუსიკას?

უნდა ითქვას, რომ ხალხურ სიმღერას ზურგი აქციეს კორსიკელებმა, აიტაცეს თანამედროვე ცხოვრების წესი და ახალ კონტინენტურ კულტურას (მე-20 საუკუნის შუა ხანებში) დაუახლოვდნენ; მოსწონდათ ის, რასაც მუსიკის თანამედროვე ფორმად მიიჩნევდნენ და რაც ძველი თაობის კორსიკელი შემსრულებლების ნამღერისაგან სრულიად განსხვავდებოდა. თუმცა ჩემთვის, ტერმინი „აღორძინება“ (გაცოცხლება), ერთგვარი შემოკლებაა იმ ტერმინებისა, რომლებიც ასევე იწყება „re“-თი, რაც ნიუანსურად განასხვავებს ამ ტერმინებს ერთმანეთისაგან. ამამდენად, შეიძლება ვისაუბროთ „გაცოცხლებაზე“, რაც გარდაცვლილის ამქვეყნიად მობრუნებას გულისხმობს; ანაც, დროებით მიჩქმალული ან დაკარგული ნივთის „აღდგენაზე“... როგორც, მაგალითად, ერთ დროს ქართული გალობის ტრადიცია მიეცა მივიწყებასა თუ ზამთრის ძილს იატაკქვეშეთში...

შეიძლება საუბარი განახლებამაც, ანდა ძალების მოკრებაზე, ხელახლა შექმნაზე, აღდგენაზე... ყველა ამ სიტყვას ოდნავ განსხვავებული ნიუანსი ან რეზონანსი აქვს. ასე რომ, ვფიქრობ, სულაც არაა საჭირო, რომ რაღაც სრულიად მკვდარი ან დაკარგული იყოს იმისათვის, რომ მერე გაცოცხლდეს. ხშირად, ახალგაზრდა თაობებს უჩნდებათ სურვილი დაიბრუნონ ის, რასაც მანამდე ზურგი აქციეს და რასაც ისინი ღირებულად თვლიან პოლიტიკური თუ შემოქმედებითი მიზეზების გამო. ჯუნიფერ ჰილთან ერთად წიგნზე – „ოქსფორდის სახელმძღვანელო მუსიკის აღორძინების შესახებ“ – მუშაობისას, ჩვენს ერთ-ერთ მიზანს სხვადასხვაგვარად მიმდინარე აღორძინების პროცესებზე დაკვირვებით შესაბამისი მოდელებისა და თეორიების შემუშავება წარმოადგენდა. ჩვენ გარკვეული აღქმებით ვხელმძღვანელობთ, მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკისა თუ სკანდინავიური ფოლკლორის აღორძინების განხილვისას. თუმცა ხელახლა აღმოჩენის, განახლების, დაბრუნების პროცესები მსოფლიოს სხვა რეგიონებისთვისაც იყო ისე, რომ სულაც არ იყენებდნენ სიტყვას „აღორძინება“.

კორსიკაში აღორძინების პროცესებს რომ დავებრუნდეთ, რა დასკვნები გამოიტანეთ? იყო თუ არა კონკრეტული მიზეზები ან გარემოებები, მათ შორის პოლიტიკური ან კულტურული ცვლილებები, რამაც ბიძგი მისცა ან შთააგონა ადამიანები, დაებრუნებინათ დაკარგული თუ დაფარული მემკვიდრეობა? რამ გაუჩინა სურვილი დაბრუნებოდნენ საკუთარ ფესვებს/ტრადიციებს?

ეს საკმაოდ სპეციფიკური შემთხვევაა, რადგან კორსიკა არის კუნძული, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა. 1760-იანი წლებში ქვეყანა ოფიციალურად საფრანგეთის ნაწილი გახდა და ამიტომ ფრანგული თანდათან ოფიციალურ ენად იქცა. თუმცა კორსიკული ენა ჩვეულებრივ ცოცხლობდა და, ამდენად, კორსიკულმა სიმღერებმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა 1970-იანი წლებში დამოუკიდებლობისათვის მოძრაობაში ჩართული ახალგაზრდობისთვის. რამდენადაც ტრადიციული მუსიკა კორსიკულენოვანი იყო და ჰანგები, ჰარმონია და სტილიც ფრანგულისაგან განსხვავდებოდა, სიმღერა ბრძოლის უმთავრეს იარაღად იქცა და ახალგაზრდები „კულტურულ ჯარისკაცებად“ იქცნენ. მათთვის სიმღერა, ზოგადად, კორსიკული მუსიკა და ტრადიციული კულტურის სხვა ასპექტები იარაღს წარმოადგენდა დამოუკიდებელი კორსიკული იდენტობის გასაცოცხლებლად და კორსიკისადმი კუთვნილების განცდის დასაბრუნებლად.



თუმცა 1980-იანი წლების ბოლოს ეს კონტექსტი შეიცვალა, რადგან ამ პერიოდში მსოფლიო მუსიკა საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა და კორსიკელებს თავიანთი სიმღერის საზღვრებს გარეთ გატანისა და ფართო მაყურებლის მოზიდვის შესაძლებლობა მიეცა კონცერტებისა და ხმოვანი ჩანაწერების გავრცელების საშუალებით. ამგვარად თანდათან შესუსტდა მისი პოლიტიკური დატვირთვა და, შესაბამისად, სულ უფრო ნაკლებად იყო გათვლილი შიდა მოხმარებაზე; თანდათან ამ პროცესებში სულ უფრო მეტი ქალიც ჩაერთო. ამ გზით კორსიკულმა მუსიკამ მისი თანამედროვე ფორმებით ფართო პოპულარობა ჰპოვა.

უკვე რამდენიმე წელია ქართულ ტრადიციულ მუსიკას იკვლევთ. შეგინიშნავთ მსგავსი პროცესები საქართველოში თუ განსხვავებულია ქართული ტრადიციული მუსიკის აღორძინების მოტივაციები/მიზეზები? როგორ ფიქრობთ, არასოდეს შენელებულა ქართული ტრადიციული მუსიკალური ცხოვრება და შეიძლება ის უწყვეტ პროცესად განვიხილოთ?

პირველ რიგში, ნება მომეცით დავუბრუნდე კორსიკას იმის ხაზგასასმელად, რომ 1970-იან წლებში ეს იყო ჭეშმარიტი გამოღვიძება, ხელახალი აღმოჩენა და ეს ეხებოდა ზოგადად, ტრადიციული ცხოვრების წესისა და, აგრეთვე, ტრადიციული მუსიკისა და კორსიკული ენის აღორძინებას. მაშინდელი ახალგაზრდების აზრით, მათი მისია აღორძინების პროცესისთვის ხელის შეწყობა იყო და ძალისხმევას არ იშურებდნენ, რათა რაც შეიძლება მეტ კორსიკელს გაეცნობიერებინა, რამდენად მდიდარი იყო ძველი, ტრადიციული კორსიკული კულტურა. მომდევნო ეტაპზე ამ ამოცანის შესრულების გზად კორსიკული მუსიკის საერთაშორისო დონეზე პოპულარიზაცია იქცა. ამ პროცესში მუსიკოსების ნაწილი „კულტურულ ელჩის“ როლს ირგებდა და საკუთარ მოვალეობად კორსიკული კულტურის მსოფლიოსათვის გაცნობა მიაჩნდა. ეს საინტერესო ცვლილება იყო. თუმცა ამ დროს ორი რამ თანაარსებობდა ერთმანეთის გვერდიგვერდ: ჰერ კიდევ იყვნენ პატრიოტული, ეროვნული მიზნებით განმსჭვალული ადამიანები და სხვები, ვინც საკუთარ თავს თანდათან უფრო მეტად ხელოვანებად განიხილავდნენ, რომელთა ინტერესის საგანსაც ტრადიციებზე დაყრდნობილი ახალი ტენდენციები წარმოადგენდა და, ამავე დროს, ტრადიციული მემკვიდრეობის შემოქმედებითი დამუშავების გზებსაც ეძებდნენ. იმართებოდა საკმაოდ ენერგიული დებატები ისეთ საკითხებზე, როგორცაა „ტრადიცია და თანამედროვეობა“ ან „ტრადიცია და შემოქმედება“. უფრო კონსერვატიულ ნაწილს მკაცრად ჰქონდა განსაზღვრავული რა იყო ავთენტური და რისი ხელყოფა არ შეიძლებოდა. სხვები ამტკიცებდნენ, რომ ტრადიცია მუდამ იცვლებოდა თაობებთან ერთად და რომ ის ცოცხალი ორგანიზმი უნდა ყოფილიყო და არა სამუზეუმო ექსპონატი. ყოველი თაობა ამატებს რაღაცას მემკვიდრეობას, უბრალოდ, ავსებს მას საკუთარი შემოქმედებითა და საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებით ტრადიციის განადგურების გარეშე. ასე რომ, საინტერესო იყო ამგვარი დებატები და მათი გავლენა მუსიკაზე, რომელსაც სხვადასხვა ჯგუფი წარმოადგენდა სასცენო შესრულებითა თუ ხმოვანი ჩანაწერებით.

წელან გვითხეთ საქართველოს შესახებ, მაგრამ ამასობაში თქვენ წამოწიეთ მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ძალიან აქტუალურია საქართველოსთვის და, თითქოს, უნივერსალურიც. აქაც იმართება დისკუსიები იმის შესახებ, თუ რა არის „სწორი“ და „არასწორი“ ტრადიციულთან შეხებისას. ამ პროცესში ჩვენ ვაკერებთ იარაღებს და თითქოს ორ პოლუსს შორის ვაკეთებთ არჩევანს მუდმივად. ქართველი ეთნომუსიკოლოგებიც აქტიურად ვართ ჩართული ამ ცხარე დისკუსიაში. ბევრს მიაჩნია, რომ ჩვენი ვალია ავთენტურობის სადარაჯოზე ყოფნა და თითქოს ქართული ტრადიციული მუსიკის „პოლიციელის“ ფუნქციას ვტვირთულობთ. ამ დროს ტრადიციული მუსიკის ე.წ. „არავთენტური“ ნაწილს ხშირად თავდაცვით რეჟიმში უწევს ყოფნა. როგორ ფიქრობთ, სად შეიძლება მიგვიყვანოს ამან? რამდენად სწორია შეფასებითი მსჯელობა და „სწორისა“ და „არასწორის“ დადგენა? ზეპირი (არაფიქსირებული) ტრადიციის პირობებში რა კრიტერიუმები გვაძლევს საშუალებას გადავწყვიტოთ რა არის მუსიკის პირველადი, ორიგინალური ფორმა მაშინ, როცა ზეპირსიტყვიერება ცვლილებებსაც გულისხმობს?



ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლორაში“

პრობლემა ისაა, თუ რამდენად შორს წახვალთ დღევანდელი ინტერპრეტაციისა და „ავთენტურად“, „ხელშეუხებელ პირველწყაროდ“ შორის შედარებისას. ფაქტობრივად, შეუძლებელია ყველაზე ადრეულ (ხმოვან) ჩანაწერებზე შორს წასვლა, რომლებიც სულ რაღაც 125 წლისაა. რა შეიძლება ვთქვათ იმაზე, რაც 500 ან 1000 წლის წინ ხდებოდა? არაფერი. საერთოდ, ტრადიციის შენარჩუნებასა და დაცვაზე ზრუნვა და იმისგან არგადახვევა, რაც „ავთენტურად“ ითვლება, როგორც წესი, ყველაზე ძლიერია აღორძინების პროცესის საწყის ეტაპზე, როდესაც ძირითად მიზანს დაკარგულისა თუ დავიწყებულის დაბრუნება წარმოადგენს და ნელდება მას შემდეგ, როცა ის თავის დამსახურებულ ადგილს უბრუნდება. მეტიც, ხშირად გვამშვიდებს კიდევ იმის გაცნობიერება, რომ დაკარგვას/დაღუპვას გადაარჩა. 1990-იან წლებში კორსიკელები ამბობდნენ: „ჩვენ გადავარჩინეთ „პაღელა“ (პოლიფონიური სიმღერის ძირძველი სტილი): არა გვგონია, რომ ამიერიდან დაკარგვისა და განადგურების საფრთხე ემუქრებოდეს. მაშ, ან რა უნდა ვქნათ? აქ უკვე სხვა ეტაპი იწყება. რა მოსდევს გაცოცხლებას?. პირადად მე მირჩევნია იმაზე არ ვიფიქრო, რაა „სწორი“ ან „არასწორი“, „უკეთესი“ ან „უარესი“, ან „კარგი“ ან

„ცუდი“. ცხადია, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, რა უფრო „მაგარი“ ან დამაჯერებელია, ან რაიმე ამდაგვარზე, მაგრამ მირჩევნია არსებულ განსხვავებებსა და მრავალფეროვნებაზე ვიმსჯელო. ჩემი აზრით, სწორედ მრავალფეროვნება და სიმდიდრე ნიშნავს განსხვავებულ შესაძლებლობებს და არა მხოლოდ ერთფეროვან ერთადერთობას. სწორედ ამიტომ, ჩემი მეორე წიგნის სათაურში გამოვიყენე სიტყვა „განსხვავებული“ და ვუნოდე „განსხვავებული ხმა, განსხვავებული სიმღერა“. წიგნი ეხება უფრო ბუნებრივი ხმით მღერის ტრადიციულ ან ხალხურ მანერას და არა განვრთნილი კლასიკური ხმით შემსრულებლობას. თუმცა ამით იმის თქმა არ მინდოდა, რომ რომელიმე მათგანი ერთმანეთზე უკეთესი ან უარესია და, რომ ერთი უნდა უარყოთ და მეორე დავანინაუროთ. არჩევანი და გზები მრავალფეროვანია და მათი თანაარსებობა შესაძლებელია. ზოგი ერთს ირჩევს, ზოგიც – მეორეს. ამასთან, ინდივიდს ორივეს კეთება შეუძლია. სწორედ კორსიკაში შევნიშნე ეს იმ ანსამბლებზე დაკვირვებისას, რომლებიც ტრადიციული სიმღერის აღორძინების მოძრაობაში იყვნენ ჩართულნი და იგივეს ვხედავთ საქართველოშიც. თქვენ გამოდინხართ სცენაზე, ხშირად ტრადიციულ კოსტიუმებშიც და ასრულებთ ტრადიციული რეპერტუარის ერთგვარად რაფინირებულ, დამუშავებულ ვერსიას, მაგრამ შეიძლება იგივე სიმღერები სხვანაირად თქვათ სუფრასთან ან ქორწილში – რაც თავად ამ სიმღერების მოქნილ ბუნებაზე მიუთითებს – და შესრულების ამგვარი ფორმები იმის დასტურია, რომ ნამდვილად ცოცხალი ასეთი სიმღერაა და არა მხოლოდ ის, რაც გედმიწევნითა და დიდი მონდომებითაა დაცული/დაკონსერვებული.

აქედან გამომდინარე, როგორ ფიქრობთ, რა ხდება საქართველოში ჩვენი მუსიკალური რეპერტუარისა თუ ტრადიციების შენარჩუნების კუთხით? რა ცვლილებები შენიშნეთ და შეიძლება თუ არა ითქვას, რომ პროცესი ძლიერდება და აქტიურდება, თუ პირიქით?

მსოფლიოს სხვა ქვეყნებს თუ შევადარებთ, საქართველოში აქტიურობის დონე ძალიან მაღალია: იგულისხმება ჩართულობის ხარისხი ტრადიციულ მუსიკასა და ცეკვაში; აგრეთვე მაღალია იმ ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც ხელს უწყობენ ტრადიციულ მუსიკასა და ცეკვას, ახალგაზრდების ჩართულობას. სწორედ ამიტომ მინდა, რაც შეიძლება მეტი დავწერო საქართველოში არსებულ ვითარებაზე, რადგან ვფიქრობ, რომ ეს მართლაც მაგალითის მიმცემია სხვებისთვის, რომ დაინახონ ის, რაც აქ ხდება ბოლო წლებში, განსაკუთრებით 2001 წელს იუნესკოს მიერ ქართული მრავალხმიანობის აღიარების შემდეგ. უფრო კონკრეტულად შემოიძლია ვთქვა, რომ იმ დროის განმავლობაში, რაც მე საქართველოსთან მაკავშირებს, მუსიკალური ცხოვრება ნამდვილად დაჩქარდა. ჯერ კიდევ 2015 წელს, ჩემი აქ ყოფნის 5 თვის განმავლობაში, უკვე უამრავი ღონისძიება ჩატარდა, რამაც ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა. თბილისში რამდენიმე ანსამბლს შევხვდი და დავინახე, რამდენ რამეს აკეთებდნენ ისინი ერთად. ხშირად მღეროდნენ არამართო სცენაზე, არამედ ქორწილში, რთველში, კონფერენციებზე. ანსამბლ „ადილეის“ წევრები მიყვებოდნენ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მათთვის სიმღერა მეგობრული შეკრებებისას, უბრალოდ ეზოშიაც კი. ამგვარი არაფორმალური მუზიციერება სხვებისთვისაც გარკვეულწილად სანიმუშოა. ჩემს თვალწინ საინტერესო მარცვლები ითესებოდა და მათ გაღვივებასა და გახარებას ვაკვირდებოდი. სწორედ იმ დროს ფოლკლორის ცენტრი იწყებდა სალოტბარო სკოლების პროექტს. ამჯერად ჩემი ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო მენახა, რა ბედი ეწია ამ პროექტს. რამდენიმე სკოლას ვეწვიე და ვაკვეთილებსაც დავესწარი. გარდა ამისა, წავედი ფესტივალზე „მომავლის ხმები“, რომელიც ანაკლიაში ჩატარდა და აგერახლა შევხვდი კიდევ იქ გაცნობილ ჩემს ახალ მეგობრებს სალოტბარო სკოლებიდან საქართველოს საგუნდო საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდული გუნდების ფესტივალზე. დღეს უამრავი ბავშვი სწავლობს ტრადიციულ ხალხურ მუსიკასა და ცეკვას – არა მხოლოდ ფოლკლორის ცენტრის ეგიდით მოქმედ სალოტბარო სკოლებში, არამედ კერძო ფოლკლორულ წრეებში, მუსიკალურ სკოლებში, კულტურულ ცენტრებთან არსებულ გუნდებსა და სხვ. სწორედ ეს არის მთავარი წინ გადადგმული ნაბიჯი და წინსვლა. გარდა ამისა, არამართო სასწავლო პროცესში და არა მხოლოდ მასწავლებლების გარემოცვაში მღერიან ახალგაზრდები. ხანდახან სკოლის გარეთაც გადავეყრები ხოლმე მომღერალ ახალგაზრდებს. ასევე ბევრად გაიზარდა ზრდასრულთა ანსამბლების რიცხვიც.

ფაქტობრივად, ისე მოხდა, რომ ორჯერ გამიმართლა კვლევის თვალსაზრისით. 2015 წელს ჩემი საქართველოში ყოფნა ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალს დაემთხვა და პირველ ტურში რამდენიმე ჯგუფის მოსმენა მოვახერხე. ასევე ჩემთვის მოულოდნელად, მომდევნო ეროვნული ფესტივალი წელს გამიმართა და ამჯერად კიდევ უფრო მეტის ნახვა და მოსმენა შევძელი – თბილისში, თელავში, მცხეთაში, ქუთაისში, ზუგდიდში, ახალციხეში, ხულოში, ქედაში, ბათუმში. როგორც ჩანს, ამჯერად კიდევ უფრო მეტი ანსამბლია (როგორც ვოკალური, ასევე ქორეოგრაფიული), რეპერტუარიც უფრო მრავალფეროვანია და ჟიურის მიერ დადგენილი კრიტერიუმებით სტანდარტი გასაკვირად მაღალია. მართლაც ბევრი განსაკუთრებული შესრულება ვიხილე!



თქვენ თქვით, რომ ამჯერად ქართულ ტრადიციულ მუსიკაში ჩართული ბავშვების შთამბეჭდავი რაოდენობა ნახეთ. რატომღაც მგონია, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს უცხოელების მზარდი ინტერესი ქართული მუსიკის მიმართ. როდესაც ქართველები ვხედავთ, რომ ამდენი უცხოელია დაინტერესებული ჩვენი კულტურით, ეს სტიმულს გვაძლევს და ვინწყებთ საკუთარი ტრადიციული მემკვიდრეობის უფრო დაფასებას (თუ გადაფასებას). თქვენ თვითონ გაქვთ ე.წ. სასიმღერო ტურებში მონაწილეობის მდიდარი გამოცდილება. თქვენი აზრით, რა არის ქართველების ტრადიციული მუსიკისადმი დაინტერესების მიზეზები?

მე არაერთი ამგვარი (სასიმღერო) ტურის მონაწილე ვყოფილვარ და გეთანხმებით, რომ ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი ფაქტორი. უთქვამთ კიდევ, რომ უცხოელების ქართული კულტურისადმი სიყვარულის, ქართული სიმღერების სწავლის სურვილისა და მონდომების შემხედვარეს, თავადაც გაუაზრებიათ საკუთარი კულტურის მაღალი ღირებულება და სტატუსი. მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია და მას არ მივიჩნევდი წამყვან მოტივად. ჩემი აზრით, ეს იყო მნიშვნელოვანი, მაგალითად, იმ პროექტისთვის, რომლის მონაწილეებიც ჩვენ ორიგენი ვიყავით სოფელ ლახუშდში (სვანეთში), რომელსაც 2011 წელს უცხოელების პირველი ჯგუფი ეწვია შოტლანდიიდან და სხვა ქვეყნებიდან, რომლებიც სწავლობდნენ სიმღერას ასაკოვან ოსტატებთან: მურადთან, გიგოსთან და გივისთან. მახსოვს, ყოველდღე, რამდენიმე ახალგაზრდა გოგო და პატარა ბიჭი ისხდნენ ხოლმე შორიახლოს და გვაკვირდებოდნენ. ასე რომ, დიახ, როგორც ჩანს, ეს ფაქტორი მუშაობდა. თუმცა, არა მგონია, რომ ისინი ამ დროს ფიქრობდნენ: „ოჰ, ჩვენ უნდა ვიმზრუნოთ ჩვენს ტრადიციებზე.“ ეს აგრეთვე იყო ახალი მეგობრების შექმნის საშუალება და ჩემი აზრით, ნაწილობრივ სწორედ ამით იზიდავს მოზარდებს სალოტბარო სკოლებიც, სადაც, მაგალითად, ბავშვებს მხოლოდ ყოველკვირეული რეგულარული გაკვეთილები კი არ უტარდებათ, არამედ სკოლის ფარგლებს გარეთაც გადიან და სწავლობენ რეგიონის ისტორიას. ასე რომ, საქმე მხოლოდ სიმღერის შესწავლას როდი ეხება, არამედ მეგობრებთან ერთად მრავალფეროვან აქტივობებსაც. ამ ვიზიტისას მე აგრეთვე დავრწმუნდი და გავაცნობიერე სოციალური მედიის ძალა და მნიშვნელობა. ზოგჯერ ხდება ღონისძიებების პირდაპირი ტრანსლაცია; შეიძლება მოგვიანებით გამოქვეყნდეს შეკრების ამსახველი ფოტოები და ვიდეოები. ეს აგრეთვე უწყობს ხელს ამგვარი ღონისძიებების პოპულარიზაციას.

დაგუბრუნდეთ ტრადიციული მუსიკის აღორძინების საკითხს: ჩვენ უკვე ვისაუბრეთ აღორძინების მოძრაობის ფაქტორებზე კორსიკაში, მაგრამ რას იტყვით საქართველოზე? საბჭოთა ეპოქაში აქ საკმაოდ მდიდარი ტრადიციული სასიმღერო (საცეკვაოც) ცხოვრება ჩქეფდა; არსებობდა გუნდები, ტარდებოდა ფესტივალები და ოლიმპიადები და გვყავდა ტრადიციული სიმღერის ოსტატები, რომელთაც მაშინდელი ხელისუფლებები აქტიურად ასაქმებდა ქვეყნის მასშტაბით. რა განსხვავებას ხედავთ „ამ“ (პოსტსაბჭოთა) და „იმ“ (საბჭოთა) დროებს შორის ამ თვალსაზრისით?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოსა და კორსიკას შორის ამ მხრივ დიდი განსხვავებაა, რადგან საქართველოში უკვე იყო ძალიან მდიდარი მუსიკალური ცხოვრება, სადაც ადრეული აღორძინებისა და განახლების ფაზა უკვე გავლილი იყო. მაგრამ საქართველოში ტრადიციული მუსიკის გარკვეული ესთეტიკის აღდგენის უახლესი მთავარი სტიმული იყო საბჭოთა კავშირის დაშლა და რუსული და საბჭოთა გავლენებისაგან გათავისუფლება და უფრო ქართული ესთეტიკის ფესვებთან დაბრუნება, რაც ყველაზე ხშირად ასოცირდება ედიშერ გარაყანიძესთან, მალხაზ ერქვანიძესთან და სხვებთან, რომლებიც ერთგვარი პიონერები იყვნენ სოფლის საშემსრულებლო ესთეტიკის ხელახლა დამკვიდრებისა (სასცენო, პროფესიული, აკადემიური სტილის საპირწონედ). მე ვცდილობდი გამეგო, როგორ აღიქვამდნენ საბჭოთა ეპოქისდროინდელი მუზიკირების იმ ფორმებს, რომლებიც უნდა შეცვლილიყო. ასეთი შემთხვევები არ იყო დაკავშირებული აღორძინების პროცესთან და უფრო შესრულების ესთეტიკას ეხებოდა. სწორედ ახლა ვკითხულობ წიგნს, რომელიც აგერახლა გამოიცა ანზორ ერქომაიშვილისადმი მიძღვნილი კონცერტის დღისათვის და რომელშიც იმ პერიოდზეცაა საუბარი, როდესაც ხალხური მუსიკა არცთუ პოპულარული იყო. ამის შესახებ რომ ვიმსჯელო, საკმარისი ცოდნა არ გამაჩნია. ცხადია, იუნესკოსადმი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თაობაზე განაცხადის მოსამზადებლად საჭიროა დასაბუთება, რომ ეს მემკვიდრეობა დაცვას საჭიროებს და კონკრეტული საფრთხეების წინაშე დგას. ერთ-ერთი საკითხი, რაც საქართველოს შემთხვევაში მაინტერესებს, არის ის, თუ როგორ ავსებს ერთმანეთს სახელმწიფოს (კულტურის სამინისტროს, კონსერვატორიის, ფოლკლორის ცენტრისა და ა.შ.) ინიციატივები და პროგრამები და არაფორმალური, კერძო, ინდივიდუალური პროექტები. ამ უკანასკნელ კატეგორიაში იგულისხმება კერძო პირების მიერ ინიცირებული პროექტები, რომლის ფარგლებშიც ისინი მასპინძლობენ უცხოელ სტუმრებს თავიანთ სოფლებში, რათა მათ შეისწავლონ სიმღერები ადგილობრივი ოსტატებისაგან. შესაბამისად, ეს არ არის მთავრობის წამოწყება და მის მიერ თავსმოხვეული პროცესი. ამგვარი პროექტების საფუძველს, როგორც წესი, პირადი კავშირები წარმოადგენს და ჩემი აზრით, ძალიან საინტერესოა, რადგან დღეს ქართული სიმღერების უცხოელი შემსრულებლების რიცხვი ძალზე მაღალია და ერთგვარი არაფორმალური ეკონომიკის (არა ზემოდან ნაკარნახევი, არამედ პირიქით – ქვემოდან ზემოდ ბიძგის მიმცემი) განვითარებასა და ზრდას უწყობს ხელს. კიდევ ვიმეორებ, რომ ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე ეს ტენდენცია უკეთესი ან უარესია. უბრალოდ მაინტერესებს, როგორია ის მრავალფეროვანი გზები, რომლებიც ქართული ტრადიციული კულტურის (კერძოდ, მუსიკისა და ცეკვის) გამდიდრებას უწყობს ხელს და, რომლებიც მის საძირკველს განამტკიცებს 21-ე საუკუნეში; გზები, რომლითაც ქართულმა კულტურამ ახალი ფუნქცია და მნიშვნელობა შეიძინა და რომლებიც ქართველებსაც და უცხოელებსაც ეხმარება საქართველოს მუსიკის ისტორიის უკეთ გაცნობასა და თანამედროვე ქართული კულტურის უფრო ღრმად შესწავლაში.



ანსაჰბი „კოლხა“ და ღილი აბუღიში

თქვენ აღნიშნეთ უცხოელების მზარდი/მაღალი ინტერესი და სიყვარული ქართული მუსიკის მიმართ და სურვილი, უფრო ახლოს და ღრმად გაიცნონ ქართული კულტურა. როგორც უკვე ითქვა, სწორედ ამ მიზნით მონაწილეობენ ისინი კერძო პირების მიერ ინიცირებულ პროექტებში. მაინტერესებს პირადად თქვენ, არა როგორც მეცნიერს, ეთნომუსიკოლოგს, რომელიც იკვლევს ქართულ

მუსიკას, არამედ როგორც ქართული მუსიკის მოყვარულს, რა გიზიდავთ ქართულ ტრადიციულ მუსიკაში და რა მიგაჩნიათ მის გამორჩეულ და განსაკუთრებულ თვისებად, მახასიათებლებად?

მესაძლოა, უმარტივესი პასუხი იყოს ჰარმონია (თავისებური აკორდული წყობა), განსაკუთრებით ისეთი ჰარმონიები, რომლებიც ჩემი სმენისათვის უჩვეულო და ამაღელვებელია, რადგან ისინი სცილდება იმ ჰარმონიების დიაპაზონს, რომელსაც ჩვენ შევჩვევიეთ დასავლურ კლასიკურ ან ანგლო-ამერიკულ პოპ-ტრადიციებში. მაგრამ საქმე მხოლოდ ამ ჰარმონიების მოსმენა არ გახლავთ. არსებობს ბგერების გარკვეული კომბინაცია, ინტერვალები, რომელთა მღერისას ადამიანი განსაკუთრებულ/გარკვეულ ფიზიკურ ზემოქმედებას განიცდის. ეს შეგრძნებები სრულიად განსხვავებულია იმ შთაბეჭდილებისაგან, რომელიც მათი მოსმენისას, როგორც რიგით მსმენელს, გეუფლება. ადამიანები ხანდახან ამას ვიბრაციას უწოდებენ, რაც, ნაწილობრივ, ობერტონების ურთიერთქმედებითაა გამოწვეული. ეს ასევე ეხება ბგერის წარმოების თავისებურებასაც, მის გამომუშავებას, ტემბრსა და საკმაოდ ხმამაღლა მღერას მკერდისმიერი ხმით. მაგალითად, სვანური სიმღერის შესრულებისას ძლიერ ხმას გამოსცემ და ამ ძლიერი ჟღერადობის შუაგულში ექცევი. სხვებთან ერთად მღერაც განსაკუთრებულია: მნიშვნელოვანია, როდესაც დროის მოკლე მონაკვეთში მეგობრობას ამყარებთ იმ ადამიანებთან, რომლებთანაც მყარდება, როგორც ფსიქოლოგები უწოდებენ, „პიკის გამოცდილება“, რაც ამ შემთხვევაში, არამარტო ერთად მღერით გამოწვეულ ძლიერ ემოციებს ნიშნავს, არამედ ემოციებს, რომლებიც სვანეთსა თუ აჭარაში, მთაში თუ სოფელში, იქაურებთან მღერისას გეუფლებათ. და რადგანაც, სახლიდან შორს ხართ, ეს კიდევ უფრო განსაკუთრებული გამოცდილება და მისი ნაწილია. მაგრამ, რა თქმა უნდა, მე არასოდეს ვარ იქ, როგორც მხოლოდ მომღერალი და მონაწილე: მე მუდამ ვარ ჩართული, როგორც მკვლევარი. ქართული, ბულგარული ან კორსიკული სიმღერის შესწავლისას, უბრალოდ მათი მღერის მცდელობაც კი მეხმარება იმაში, რომ უკეთესად გავიგო, როგორია სიმღერის სტრუქტურა, მისი სტილისტური მახასიათებლები და რა განაპირობებს მათ; რადგან ამ დროს, შენ თვითონ გრძნობ საკუთარი სხეულით, საკუთარ სუნთქვაზე დაკვირვებით – როდის უნდა ამოისუნთქო, როგორ უნდა მოუსმინო, როგორ უნდა შეიგრძნო თანამომღერლები – და ეს ყოველივე ეხება არა მხოლოდ საკუთრივ ურთიერთმოქმედების ხარისხსა და ხასიათს, არამედ ამა თუ იმ სიმღერისა თუ სტილების თავისებურებასაც.

აღორძინების თემას რომ მივუბრუნდეთ, თქვენ, როგორც მკვლევარი, რომელიც დაინტერესებულია ამ პროცესების ღრმა შესწავლით, როგორ ხედავთ ფესტივალებისა და კონკურსების როლს ამ პროცესში? როგორც აღნიშნეთ, ამჯერად არაერთ ფესტივალსა თუ კონცერტს დაესწარი. რამდენად ეხმარება ასეთი ღონისძიებები ტრადიციული ქართული მუსიკის აღორძინებისა თუ განვითარების მთელ პროცესს? რამდენად ეფექტურია ეს ფორმა, რომელიც მოიცავს კონკურენტულ ასპექტსაც, განსაკუთრებით ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის? შეიძლება თუ არა, რომ ასეთ კონკურსებს საპირისპირო ეფექტი ჰქონდეთ, რადგან კონკურენტულ გარემოში ყველა გამარჯვებული ვერ იქნება და შესაძლოა სხვებთან შეჯიბრმა და მარცხმა იმედგაცრუება, განზილება და მოტივაციის განელება გამოიწვიოს?



როგორც ფესტივალებსა და კონკურსებში მონაწილე ანსამბლის წევრებთან ჩემი საუბრებიდან ჩანს, მნიშვნელოვანია, რომ გარკვეული მიმართულებით არის მუშაობა საჭირო, რადგან მოგზაურობა და სადღაც სხვაგან, განსხვავებული მსმენელის წინაშე გამოსვლა ნამდვილად სასიამოვნოა, თუმცა კონკურენტულობის მომენტი არც ისე მიმზიდველია, რადგან ასეთ დროს შეიძლება იმაზე იდარდო, რომ რაღაც ისე არ გამოვივიდა, როგორც გინდოდა. ამასთან, ლოჯისტიკური პრობლემაც იჩენს თავს, როდესაც უფრო და უფრო მეტი რეალურად კარგი ანსამბლი გამოდის სცენაზე და მათ შორის უნევს ჟიურის არჩევანის გაკეთება. შესაბამისად, მხოლოდ ერთი ადამიანი ან ჯგუფი ხდება გამარჯვებული/პრიზის მფლობელი (ან შეიძლება გამარჯვება ვინმესთან-გაიყო). მაგრამ რა უნდა ვქნათ, თუ ოცდაათი ადამიანი იმსახურებს ჭილდოს ან ყველა მათგანი აკმაყოფილებს თქვენს გემოვნებას? ის, რომ ლაურეატების ან ფინალში მონაწილეთა რიცხვი იზრდება, შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურ დაფასებას გულისხმობს, მაგრამ ამავდროულად ეს დიდი გამოწვევაა. არ ვიცი, რა გიპასუხოთ, თუმცა მასიური ღონისძიებების ისეთი მაგალითებიც არსებობს, რომლებიც იზიდავს მონაწილეთა დიდ რაოდენობას და ქმნის პლატფორმას სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით, კონკურენტული ელემენტის გარეშე. არტ-გენის ფესტივალი ამის კარგი მაგალითია: ეს არის სხვადასხვა სტილისა და ტრადიციების ზეიმი

მთელი საქართველოდან და იმის მიუხედავად, რომ კონკურსის ყოველგვარ ელემენტს გამორიცხავს, მასში მონაწილეობის მსურველი ჯერ კიდევ ბევრია. ამავე დროს, არსებობს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი, რომლის სტრუქტურა, ჯერჯერობით, ფინალისტებსა და პრიზიორებს მოიაზრებს, მაგრამ თანდათან რთულდება გადანყვეტილების მიღება, ვინ იყოს პირველი, ვინ მეორე და ვინ მესამე მრავალრიცხოვანი ლაურეატებიდან. საინტერესოა დაფიქრება იმაზე, თუ რა იქნებოდა კარგი მოდელი. ვფიქრობ, ბევრი აცნობიერებს, რომ მართლაც მნიშვნელოვანია რაც შეიძლება მეტი წახალისების გაცემაცა და მიღებაც.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება მომენტები, რომლის მომსწრენიც ორივენი ვიყავით. მაგალითად, აჭარაში ყოფნისას ვნახეთ, როგორი ლაღები, თავისუფლები, ბედნიერები ილხენდნენ, ცეკვავდნენ და მღეროდნენ არაფორმალურ გარემოში, მაგალითად, სუფრასთან, მაგრამ როგორ გაგვიჭირდა იგივე ადამიანების ცნობა სცენაზე, სადაც ლელვისაგან მაქსიმალურად მოკრძალებულად და, შებოჭილადაც კი, გამოიყურებოდნენ.

დიახ, მართალია და სწორედ ეს იყო, რამაც გაგვაკვირვა. თუმცა, ვფიქრობ, ბევრი აცნობიერებს, რომ წახალისება კარგი რამაა. თუ ბოგვიერთ ადამიანს აქვს გარკვეული გზა გასავლელი თავისი სრული პოტენციალის გამოსავლენად და გასავითარებლად და ფიქრობთ, რომ მათ უკეთ შეუძლიათ საქმის გაკეთება, მაშინ მუდმივად იმაზე ფიქრია საჭირო, როგორ წავახალისოთ და დავეხმაროთ მათ (დათრგუნვის ნაცვლად) რაც შეიძლება პოზიტიური და კონსტრუქციული გზით და ფორმებით. როდესაც მიზანი მხოლოდ ტრადიციის შენარჩუნება და დაცვა კი არა, არამედ მისი სამომავლო სიცოცხლისუნარიანობა და განვითარებაა, მაშინ საჭიროა, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა იმღეროს და იცეკვოს, საჭიროა, რომ მათთვის რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობები შეიქმნას, საჭიროა მათი რაც შეიძლება მეტად წახალისება. როდესაც შესრულების იმპულსი თავად ადამიანებისგან მოდის, ეს მათ ახარებს, მათთვის მნიშვნელოვანია და ფუნქცია აქვს, ეს კარგი, ჯანსაღი განვითარებაა. თუ ჩვენ ვიფიქრებთ მდგრადობასა და კეთილდღეობაზე, მაშინ სულაც არაა აუცილებელი, ყველა იყოს საუკეთესო. მათი ძალისხმევა უკვე საკმარისია იმისათვის, რომ მათი შრომა დაფასდეს.

გმადლობთ, ქეროლაინ, რომ დაგვითმეთ დრო და გაგვიზიარეთ თქვენი შთაბეჭდილებები და დაკვირვებები. და ბოლო, ტექნიკური ხასიათის შევითხვაც: როდის გვექნება ქართულ ტრადიციულ მუსიკაზე თქვენი წიგნის გაცნობის/წაკითხვის საშუალება?

წიგნები (გამოცემა) ხანგრძლივი პროცესია, მომავალ წელს თავისუფალი ვარ პედაგოგიური მოვალეობებისაგან, რათა დავასრულო წიგნის ხელნაწერი, რომელიც შემდეგ გადაეცემა გამომცემელს და გაეგზავნება რეცენზენტებს განსახილველად. შესაძლოა მოითხოვონ რედაქტირებაც. ამას მოჰყვება გამოცემისათვის საჭირო სხვადასხვა ეტაპი. ასე რომ, სავარაუდოდ, 2025 წელს.

დიდი მადლობა! წარმატებებს გისურვებთ როგორც ამ, ასევე მომავალ პროექტებშიც.



ახოლი: ნანა ხაჩიკიანი - ეთნოგრაფიკოლოგი, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საერთაშორისო მიმართულების ხელმძღვანელი

ახალი წლის პირველი დღის პაზია



ახალი წელი ახალი იმედებისა და რწმენის დასაბამი, შთამბეჭდავი, ფერადოვანი სანახაობებითა და ნაირგვარი რიტუალებით აღსავსე დღესასწაულია. სვანეთის ეთნოგრაფიულმა ყოფამ დღემდე შემოინახა ამ დღესასწაულთან დაკავშირებული უძველესი რწმენა – წარმოდგენები.

ფოტოზე ახალი წლის პირველი დღისა და ხართან ერთად მეკვლეობის მისტიური კადრია აღბეჭდილი, რომელიც სვანეთში მოღვაწე ეთნოლოგის დინა კოჟენიკოვას მიერ არის გადაღებული 1929 წელს, ზემო სვანეთის ლატალის თემის სოფელ მაცხვარიშში, გუარ გირგლიანის ოჯახში. მასზე ასახული სიუჟეტი მნიშვნელოვანი ფრაგმენტია იმ ვრცელი მაგიური წეს-ჩვეულებებისა, რომლებიც ახალი წლის დღესასწაულზე სრულდებოდა – სახლის მეკვლის, ხარისა და სამეკვლეო საგნებით საგსე გოდორით დიასახლისის კერიის გარშემოვლის რიტუალი.

ახალი წლის – ზომხას (სიტყვასიტყვით ზაი – წელიწადი, მახე – ახალი) დადგომას შიარულად და დიდი სამზადისით ხვდებოდნენ, რადგანაც ხალხის რწმენით, დამდეგი წლის კეთილდღეობა ბევრად იყო დამოკიდებული მათ მიერ შესრულებულ საწესო ქმედებებსა და რიტუალებზე.

დღესასწაულის ერთ-ერთ მთავარ მომენტს მეკვლეობა წარმოადგენდა. სვანეთში ბოლო დრომდე შემოინახა ახალი წლის პირველ დღეს ორი მეკვლის – სახლის, იგივე შინაური (ქორა მეჭში) და გარეშე მეკვლის (ქამე მეჭში) ოჯახში შემოსვლისა და კარგი ფეხის დაბედების ტრადიცია. ორივე მეკვლეს, ახალი წლის წინა დღეს, კენჭისყრით ირჩევდნენ, ასევე ირჩევდნენ მეკვლე ხარსაც.

ალიონზე სახლის მეკვლე, სამეკვლეო ნობათით (ღორის თავი, სარიტუალო პურები, თხილის მრავალკვირტიანი ტოტი, ვერცხლის ფული...) დატვირთული, სათესლე გოდორითა და წყლის ცარიელი ჭურჭლით, წინასწარ შერჩეულ ოჯახის საუკეთესო ხართან ერთად ჯერ წყაროზე ჩავიდოდა, ხელ-პირს დაიბანდა, ხარს წყალს დაალევივინებდა, ჭურჭელს წყაროს წყლით გაავსებდა, ლოცვას წარმოსთქვამდა და ხართან ერთად სახლში ბრუნდებოდა. შინ შესვლამდე კალოზე შეჩერდებოდა, შუა ადგილას თოვლის „კოშკს“ დადგამდა, ზედ თხილის კვირტებიან ტოტს ჩაარჭობდა და ხართან ერთად ლოცვით გარს შემოუვლიდა.

საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე, მაჩუბში (საცხოვრებელი სახლი სვანეთში), მარჯვენა ფეხით შესული შინაური მეკვლე ლოცვა-ვედრებით კერიას სამჯერ შემოუვლიდა და თან ხარს შემოატარებდა. შემდეგ იქვე ბოძთან დააბამდა და თივას დაუყრიდა. ოჯახის წევრები მეკვლის მიერ ამოტანილ წყალს, რომელსაც პირობითად რძეს უწოდებდნენ, დალევდნენ, ხელ-პირს დაიბანდნენ. ოჯახის უფროსი გობზე დაწყობილი სარიტუალო პურებით, ზედაშით (არაყი) და ღორის თავით ოჯახის წევრებს ჩამოუვლიდა და თითოეულს ლოცვით მარჯვნივ დაუტრიალებდა – ხელის ახსნის რიტუალს – „ლიშიაშალს“ შეასრულებდა. ამასობაში წინასწარ შერჩეული გარეშე მეკვლევ მოვიდოდა, რომელიც სახლში შესვლისას ტკბილეულს და მარცვლეულს მიმოაბნევდა და ლოცვა-კურთხევით კერას სამჯერ შემოუვლიდა. შინმყოფნი მას საახალწლო შემოსალოცით შეეგებებოდნენ, ტკბილეულთან ერთად მონვეულ მეკვლეს სახლში შესვლისას თოვლის გუნდაც შეჰქონდა, როგორც სინმინდისა და სისუფთავის სიმბოლო.

აღსანიშნავია, რომ ახალი წლის დღესასწაულში ქრისტიანულ რწმენებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი წინაქრისტიანულ წარმოდგენებსაც უკავია, რომლებიც გამრავლების, ნაყოფიერებისა და წინაპართა კულტებისადმი იყო მიძღვნილი. საწესო რიტუალების შესრულებისას მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა ხარი, როგორც ოჯახის სიძლიერისა და ბარაქიანობის სიმბოლო. სვანეთის ეთნოგრაფიულმა ყოფამ დღემდე შემოინახა ხართან, როგორც წმინდა ცხოველთან ერთად მეკვლეობის ტრადიცია, რომელიც ძველად საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული. საახალწლო ციკლის დღესასწაულებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე ოჯახის წევრებისა და მეკვლის მიერ კერაში ცეცხლის დანთების რიტუალს და მასთან დაკავშირებულ მაგიურ ქმედებებს.

ავტორი: მანანა ხიფანიშვილი - საქართველოს ეროვნული მუზეუმის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კოლექციის კურორტი

გამოცემაზე მუშაობენ

სანდრო ნათაძე – პროექტის ხელმძღვანელი, სარედაქციო საბჭოს წევრი

ნანა მუამაგაძე – სარედაქციო საბჭოს წევრი

თეონა რუხაძე – სარედაქციო საბჭოს წევრი

ბრაიან ფერლი – სარედაქციო საბჭოს წევრი, ინგლისური ტექსტის რედაქტორი

მარინა დევრისტოფორო – მთარგმნელი

მაია მაისურაძე – ქართული ტექსტის რედაქტორი

ნიკოლოზ გოგამვილი – დიზაინერი



